

# უნიკალური სავაჭრო კომპანია









# ანტიდუსავდური კრიკუპანდუ

მედია მონიტორინგის ანგარიში

2014-2015

მედიის განვითარების ფონდი

ავტორი:

თამარ კინწურაშვილი

მკვლევარები:

სოფო გოგაძე, თათა ქაფიანიძე, თამუნა კანდელაკი

დიზაინი:

ბესიკ დანელია, IBDESIGN



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE



**unag**  
საქართველოს მართვის აგენცია

ანგარიში მოამზადა მედიის განვითარების ფონდმა პროექტის „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით. კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციას.

© 2015, მედიის განვითარების ფონდი

[WWW.MDFGEORGIA.GE](http://WWW.MDFGEORGIA.GE)

[WWW.EUROCOMMUNICATOR.GE](http://WWW.EUROCOMMUNICATOR.GE)

ISBN 978-9941-0-7732-6

ანტიდასავლური განწყობების მონიტორინგისკენ მედიის განვითარების ფონდს ქართულ მედიაში სიძულვილის ენისა და ქსენოფობიის გამოვლინებებზე დაკვირვებამ უბიძგა, რომელსაც ორგანიზაცია წლებია ახორციელებს. როგორც ამ თვალსაზრისით დაგროვილმა გამოცდილებამ ცხადყო, ანტიდასავლური რიტორიკა ხშირად სწორედ ქსენოფობიურ და ჰომოფობიურ კონტექსტში გაისმის და დაუსაბუთებელ შიშებს უკავშირდება, რაც მოდერნიზაციის თანმდევი პროცესია. ასეთი გამოხატვა ღია საზოგადოების წინააღმდეგ არის მიმართული და როგორც შედეგები ცხადყოფს, ხშირად პოლიტიკური დატვირთვაც აქვს, რადგან სწორედ პოლიტიკურად აქტიური მედია პლატფორმები და პოლიტიკური აქტორები ტირაჟირებენ ისეთ იდეებს ან მცდარ, შეცდომაში შემყვან ინტერპრეტაციებს, რომლებიც მკვეთრად ანტიდასავლური პროგანდის ხასიათს ატარებს. ეს რიტორიკა მეტწილად იმეორებს იმ ნარატივს, რომელსაც რუსულენოვანი მედია საშუალებები რუსულენოვან აუდიტორიაზე ანუ პოსტსაბჭოთა სივრცის მოქალაქეებზე გავლენის მოხდენის მიზნით მიმართავენ.

წინამდებარე გამოცემა მესამე ნაწილია მედია მონიტორინგის ანგარიშის სერიისა<sup>1</sup> და ანტიდასავლური პროპაგანდის ტენდენციებს მიმოიხილავს. პირველ თავში მოყვანილია მედია მონიტორინგის რაოდენობრივი მაჩვენებლები ანტიდასავლური პროპაგანდის წყაროების მიხედვით, მეორე თავი გზავნილების ტიპოლოგიის ანალიზს მოიცავს, მესამე – პროპაგანდის ტექნოლოგიებსა და შესაბამის მაგალითებს ასახავს, ხოლო მეოთხე თავი ქართულ მედიაში რუსულენოვან პროპაგანდას ეთმობა. მეხუთე თავი კი ანტიდასავლურ განწყობებს წყაროების მიხედვით მიმოიხილავს, მათ შორის მედია საშუალებებს, რომლებიც რუსული წყაროების იდენტიფიცირებას არ ახდენენ, პოლიტიკურ პარტიებსა და მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს, ხელისუფლების მოქმედ და ყოფილ წარმომადგენლებს, სასულიერო პირებს და საზოგადოების წარმომადგენლებს.

პროექტი „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა და ის სხვადასხვა ფობიებთან ერთად, ანტიდასავლური განწყობების იდენტიფიცირებას და წყაროების გამოვლენას ისახავდა მიზნად.

## მეთოდოლოგია

კვლევა ერთწლიან პერიოდს (17 თებერვალი, 2014 – 18 თებერვალი, 2015) მოიცავს და იმ წყაროების მიხედვით არის დაჯგუფებული, რომლებიც ანტიდასავლური განწყობების მხრივ ყველაზე აქტიურები არიან. ესენია: მედია,

<sup>1</sup> | სიძულვილის ენა და ქსენოფობია, II ჰომოფობია და გენდერული იდენტობა.

პოლიტიკური პარტიები და მათთან აფილირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოქმედი და ყოფილი თანამდებობის პირები, სასულიერო პირები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ანუ ყველა ის რესპონდენტი, რომელიც ცალკე კატეგორიად არ არის გამოყოფილი. მონიტორინგის ფოკუსი იყო ცალკეული გზავნილების გამოკვეთა, რომელთაც ეს წყაროები ავითარებდნენ, მათი განმეორების სიხშირე, მცდარი ინფორმაცია, რომელიც ან ცალმხრივად, ან თავისუფალი ინტერპრეტაციით, ალტერნატიული მოსაზრებების გარეშე იყო წარმოდგენილი, მედიის შემთხვევაში, პროფესიული სტანდარტების დარღვევა.

მონიტორინგი ნ გაზეთის (ასავალ-დასავალი, რეზონანსი, პრაიმ ტაიმი, კვირის ქრონიკა, ალია, კვირის პალიტრა<sup>2</sup>); 5 ტელევიზიის (საზოგადოებრივი მაუწყებელი, იმედი, რუსთავი 2, კავკასია და მესტრო) დღის მთავარი საინფორმაციო გამოშვებებისა და თოქ-შოუების, ასევე მედია-კავშირ „ობიექტის“ და ტელეკომპანია „ტაბულას“ პრაიმ-ტაიმის თოქ-შოუების დაკვირვებას ითვალისწინებდა. მონიტორინგი ნ საინფორმაციო ვებ-პორტალებზეც (საქინფორმი, ინტერპრესნიუსი, ნეტგაზეთი, პირველი, რეპორტიორი, საქართველო და მსოფლიო) გავრცელდა. სხვა მედია საშუალებების მაგალითები, ასევე შემთხვევები, რომელთაც არასაანგარიშო პერიოდში ჰქონდა ადგილი, რაოდენობრივ მონაცემებში გათვალისწინებული არ არის და მხოლოდ საილუსტრაციოდ არის მოყვანილი.

---

<sup>2</sup> 2014 წლის დეკემბრიდან ბექდვითი ვერსიის ნაცვლად მონიტორინგი გაზეთის ელექტრონულ ვერსიაზე ხორციელდება.



# შინაურსი

1. მთავარი მიზნები - რეალური მოსახლეობის	9
2. გზავნილის ტიპობა	11
3. მისიზაცია	14
4. რუსული პროპაგანდა ქართული მოსახლეობის მიმართ	18
5. ანტიდისკორდული განხილვები წყაროების მიხედვით	22
5.1. მედია	22
5.2. პოლიტიკური პარტიები	36
5.3. ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წარმომადგენლები	43
5.4. სასულიერო პირები	45
5.5. საზოგადოების სხვა წარმომადგენლები	47
დასკვნა და რეკომენდაციები	52


# ლიბრაჰი, ცხრილი და პისიჭოქის გაბლითი

დიაგრამა 1.	ანტიდასავლური განწყობები წყაროების მიხედვით	9
დიაგრამა 2.	ანტიდასავლური რიტორიკა მედია საშუალებებისა და რესპონდენტების მიხედვით	10
დიაგრამა 3	ანტიდასავლური რიტორიკის წყაროები პარტიების მიხედვით	11
დიაგრამა 4.	გზავნილების ტიპოლოგია ღირებულებებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე	12
დიაგრამა 5.	გზავნილების ტიპოლოგია საგარეო პროცესებთან და საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით	13
დიაგრამა 6.	გზავნილების ტიპოლოგია საშინაო პოლიტიკასთან მიმართებით	13
დიაგრამა 7.	გზავნილების ტიპოლოგია ინსტიტუტებთან მიმართებით	14
მაგალითი 1.	ამერიკა წყლით და პამპერსით დაგვეხმარა	14
მაგალითი 2.	ვიქტორია ნულანდი და ფუნთუშები	15
მაგალითი 3.	რუსეთი დასავლეთის საპირწონედ	16
მაგალითი 4.	ჰომოსექსუალობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის საპირწონედ	16
მაგალითი 5.	ნატო ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ	17
მაგალითი 6.	ჰუსეინი ხალხს მაინც არ კლავდა	17
მაგალითი 7.	ლუგარის ლაბორატორიის ვირუსები ქართველი ხალხის გადასაშენებლად	18
ცხრილი 1.	რუსულენოვანი წყაროები ქართულ მედიაში	19

## 1. მთავარი მიზნები - რეალური მონაცემები

ერთწლიანი მონიტორინგის თანახმად, ანტიდასავლური განწყობების მთავარი წყარო მედიაა (325), რომელსაც მოსდევს საზოგადოების სხვა წარმომადგენლების კატეგორია (205). შემდეგია პოლიტიკური პარტიები (113), სასულიერო პირები (52), ხელისუფლების ყოფილი (43) და მოქმედი (5) პირები.

დიაგრამა 1. ანტიდასავლური განწყობები წყაროების მიხედვით




მედია საშუალებებიდან ანტიდასავლური განწყობების კულტივირება და ტირაჟირება ყველაზე მძაფრად მედია-კავშირ „ობიექტივის“ სატელევიზიო თოქ-შოუში ხდებოდა (87), რომელსაც ონლაინ გამოცემები „საქინფორმი“ (82) და „საქართველო და მსოფლიო“ (შემდომში Geworld.ge) (72) მოსდევენ. ბეჭდური მედიიდან გამოკვეთილად მკაფიო ანტიდასავლურ განწყობებს გაზეთი „ასავალ-დასავალი“ (40) და „ალია“ ჰოლდინგში შემავალი გამოცემები – „კვირის ქრონიკა“ (26) და „ალია“ (12) გამოხატავდნენ. სააგენტოებში „პირველი“ და „რეპორტიორი“ დარღვევის თითო ფაქტი გამოიკვეთა, ხოლო ტელეკომპანია „იმედში“ ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევის და ანტი-

დასავლური ინტერპრეტაციით მოვლენის გაშუქების ერთი შემთხვევა გამოვლინდა. დიაგრამა 2-ში კატეგორია „სხვაში“ საზოგადოებრივი მაუწყებლის ამჟამინდელი ბრიუსელის კორესპონდენტის, გიორგი ფოფხაძის ადრინდელი განცხადებები (3) მოხვდა. აღნიშნული განცხადებების გაკეთების დროს ის მედია-კავშირ „ობიექტივის“ თანამშრომელი იყო, თუმცა ინტერვიუ სხვა გამოცემებისთვის აქვს მიცემული.


მედია საშუალებები, რომლებისთვისაც ანტიდასავლური რიტორიკა გააზრებული სარედაქციო პოლიტიკის ნაწილია, რესპონდენტებსაც ცალმხრივად არჩევდნენ და როგორც ჟურნალისტები, ასევე ინტერვიუერები პერმანენტულად მხოლოდ ერთ პოზიციას ან მცდარ ფაქტებს ახმოვანებდნენ. დიაგრამა 2. ასახავს ანტიდასავლური განწყობების წყაროებს მედია საშუალებებისა და მათი რესპონდენტების მიხედვით.

**დიაგრამა 2. ანტიდასავლური რიტორიკა მედია საშუალებებისა და რესპონდენტების მიხედვით**



პარტიებიდან ანტიდასავლურ შეხედულებებს ყველაზე ხშირად ბურჟანაძე-დემოკრატიული მოძრაობა და მასთან ერთად 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ერთ ბლოკში გაერთიანებული პარტიები (47) გამოხატავდნენ, ასევე ამ მოძრაობასთან დაკავშირებული სახალხო კრება (29) და პატრიოტთა ალიანსი (27), შემდეგ ადგილებზე კი თავისუფალი საქართველო (6) და ქართული ოცნება (4) იყო.

**დიაგრამა 3. ანტიდასავლური რიტორიკის წყაროები პარტიების მიხედვით**



ხელისუფლების წარმომადგენლებიდან ხუთივე შემთხვევა აფხაზეთის მთავრობას – განათლებისა და კულტურის მინისტრს (4) და აფხაზეთის მთავრობის მრჩეველთა ბიუროს ხელმძღვანელს (1) უკავშირდებოდა. ხელისუფლების ყოფილი თანამდებობის პირების მხრიდან გამოხატული 43 გზავნილიდან უმეტესობა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდის (1995–2003) პოლიტიკური თანამდებობის პირებს და სხვა მოხელეებს უკავშირდებოდა, რომელთაგან ყველაზე მეტად ძალოვანი უწყებების (უშიშროების, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები) წარმომადგენლები და ყოფილი სახალხო დამცველი აქტიურობდნენ.


## 2. გზავნილვის ტიპოლოგია

მთავარი გზავნილები, რომელთაც ჩვენს მიერ გამოყოფილი წყაროები – მედია, პოლიტიკური, კლასი, ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი წევრები, სასულიერო პირები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები ავითარებდნენ, შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: 1) ღირებულებებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული თემები; 2) პოლიტიკური პროცესების ინტერპრეტაცია და 3) ინსტიტუტებთან – არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებული საკითხები. ეს გზავნილები როგორც სუბიექტურ ინტერპრეტაციებს, ასევე ხშირად მცდარი ფაქტების საფრთხეების კონტექსტში განხილვას უკავშირდებოდა.

1. ღირებულებებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ კატეგორიაში დომინანტი თემა დასავლეთის მიერ ჰომოსექსუალობის, ინცესტის, პედოფილიის, და გარყვნილი ცხოვრების წესის „დაკანონებას“ უკავშირდებოდა, რაც საქართველოს პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის განხილვის თანმდევი დისკურსი იყო და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების პაკეტის შემადგენლად იყო წარმოჩენილი (152); შემდეგი ნარატივი, რომელსაც წყაროები ავითარებდნენ, დასავლეთის, როგორც მართლმადიდებლობასთან მებრძოლად წარმოჩენა იყო, გარკვეულ შემთხვევებში, ეს ბრძოლა მართლმადიდებელ რუსეთთან

დაპირისპირებად იყო განხილული (66); დასავლური ღირებულებების მიუღებლობა სხვადასხვა თემებს მოიცავდა (23); უმცირესობათა უფლებების დაცვის საკითხების – ევროპის საბჭოს რეგიონალური ენების ქართის რატიფიცირების და სტალინის რეჟიმის მიერ საქართველოდან, კერძოდ კი მესხეთიდან დეპორტირებული მოქალაქეების რეპარტიაციის თემები, რაც ასოცირების ხელშეკრულების ფორმატში განხილვებოდა, დასავლეთიდან „ინსპირირებულ“ სეპარატიზმის საფრთხეებთან იყო დაკავშირებული (11); ხდებოდა ასევე გენდერისა და სექსუალური იდენტობის თემატიკის გაიგივება ოჯახურ ტრადიციებთან ბრძოლასთან (9).


**დიაგრამა 4. გზავნილების ტიპოლოგია ღირებულებებთან და ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე**



2. პოლიტიკური თემატიკა, თავის მხრივ, ორ ნაწილად დავაჯგუფეთ: ა) საკითხები, რომლებიც დასავლეთის საგარეო პოლიტიკას და საერთაშორისო ფორმატში საქართველოსთან თანამშრომლობას შეეხებოდა და ბ) საშინაო პოლიტიკასთან მიმართებით გაკეთებული გზავნილები.


ა) პირველ კატეგორიაში დომინანტი იყო მოსაზრება, რომ ამერიკა და ზოგადად დასავლეთი მოძალადე და სხვადასხვა ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალებების ინსპირატორია (89); უკრაინის მოვლენები წარმოდგენილი იყო, როგორც დასავლეთის მიერ რუსეთის წინააღმდეგ განხორციელებული ქმედება (69); ევროატლანტიკური ინტეგრაცია საფრთხეებთან, მათ შორის თურქეთის ექსპანსიასთან და ტერიტორიების დაკარგვასთან იყო დაკავშირებული (63); ასოცირების ხელშეკრულება კი საქართველოს დაკაბალებასთან და ეკონომიკის განადგურებასთან იყო გაიგივებული (37); ხდებოდა რუსეთის დასავლეთის საპირწონედ (21), ხოლო რიჩარდ ლუგარის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ცენტრის საფრთხედ წარმოჩენა (4). 2 გზავნილში გაუღერებული იყო აზრი, რომ ნატო და ევროკავშირი ქართველი ხალხის არჩევანს არ წარმოადგენდა და ამ პროცესს საზოგადოების მხრიდან ლეგიტიმაცია აკლდა.

**დიაგრამა 5. გზავნილების ტიპოლოგია საგარეო პროცესებთან და საქრთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით**




ბ) დომინირებდა ასევე მოსაზრება, რომ საქართველო გარე ძალების მიერ იმართება და მოკლებულია დამოუკიდებლობას (80), ხდებოდა ყოფილი მმართველი პარტიის – ნაციონალური მოძრაობის ნეგატიურ კონტექსტში ასოცირება დასავლეთთან (44) და დასავლეთის კორუმპირებულად წარმოჩენა (11); მოსაზრება, რომ დასავლეთი ვერ დაგვიცავს საფრთხეებისგან (6) და საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია დასავლეთმა გაწირა (4) შედარებით ნაკლებად ფიგურირებდა.

**დიაგრამა 6. გზავნილების ტიპოლოგია საშინაო პოლიტიკასთან მიმართებით**



3. მესამე ჯგუფში ძირითადად ვხვდებით 2 გზავნილს, რომელიც ღია საზოგადოების მხარდამჭერ ინსტიტუტებს უკავშირდება, კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელთაც უცხოეთის დაქირავებულ აგენტებად სახავენ, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციებს – სპეცსამსახურებად (24), ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ დამფუძნებელი ჯორჯ სოროსი ქართულ იდენტობასთან მეზრძოლად არის წარმოჩენილი (14). არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში აქცენტი კეთდებოდა იმაზე, რომ ფარული მიყურადების გასაღების კონტროლით ამერიკა იყო დაინტერესებული და არასამთავრობოების აქტივობებიც ამით იყო განპირობებული.

**დიაგრამა 7. გზავნილების ტიპოლოგია ინსტიტუტებთან მიმართებით**



**3. პესიჭჰოქსი**

წინამდებარე თავში ჩვენ შევეცადეთ დაგვეჯგუფებინა ცალკეული მესიჯები, რომელთაც სხვადასხვა წყაროები მათი გზავნილების დასამკვიდრებლად პერმანენტულად იმეორებდნენ და გარკვეული მესიჯბოქსის სახეც კი ჰქონდა. ქვემოთ მოყვანილი მაგალითები შინაარსის იდენტურად ფორმულირების ნიმუშად შეიძლება მივიჩნიოთ.

ცალკეული მაგალითები განხილული იქნება პროპაგანდის სხვადასხვა ტექნოლოგიებთან მიმართებაში, როგორცაა Ad nauseam-ის, ეჭვების დათესვის, მცდარი დილემის ანუ შავ-თეთრი ამროვნების, დემონიზების, ცრუ ინფორმაციის გავრცელების მიდგომები.

**AD NAUSEAM-ის ტექნიკა**

Ad nauseam-ის ტექნიკა ერთი და იგივე იდეის განუწყვეტლივ განმეორებას გულისხმობს. ეს შესაძლოა იყოს იდეა, ან მარტივი სლოგანი, რომელსაც იმდენად ხშირად იმეორებენ, რომ ადამიანები მას იჯერებენ. გამოიყენება ასევე ეჭვის დათესვის ტექნიკა, რაც ნდობის შერყევას და გაურკვევლობის განცდის შექმნას ისახავს მიზნად.

**მაგალითი 1. ამერიკა წყლით და პამპერსით დაგვეხმარა**

**გზავნილი:** დასავლეთი ვერ დაგვიცავს საფრთხეებისაგან.  
**ეჭვის დათესვა:** შეიძლება თუ არა ამერიკა ჩაითვალოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად?



აღნიშნული გზავნილი იდენტური ფრაზეოლოგიით აქვთ ჩამოყალიბებული საქართველოს პარლამენტის დეპუტატს მმართველი პარტიიდან, ინტერნეტ-პორტალ „საქინფორმის“ მთავარ რედაქტორს, გაზეთ „კვირის ქრონიკის“ ჟურნალისტსა და რესპონდენტს. ყველა შეფასება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომთან დაკავშირებით ამერიკასთან მიმართებაშია გამოთქმული.

<p><b>ქართული ოცნება</b></p> <p>„რუსეთი მარადიული მეზობელია... დასავლეთისგან შემფოთება, წყალი და პამპერსი მივიღეთ!“</p> <p><b>ზაზა პაპუაშვილი</b> Geworld.ge, 25 მარტი, 2015<sup>3</sup></p>	<p><b>საქინფორმი</b></p> <p>„საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი აშშ კი არა, რუსეთი რომ ყოფილიყო, რუსეთის ფედერაცია საქართველოს ჯარებით და არა პამპერსებით გამოუსარჩლებოდა!“</p> <p><b>არსო ხლიჩაპიშვილი</b> ასავალ-დასავალი, 3-9 ნოემბერი, 2014</p>	<p><b>კვირის ქრონიკა</b></p> <p>„სტრატეგიულ პარტნიორად გამოცხადებულმა ამერიკამ წყლისა და პამპერსების მეტი ვერაფერი გაიმეტა ჩვენს დასახმარებლად“.</p> <p><b>გიორგი ჭიკიაშვილი</b> ჟურნალისტი, 1-7 დეკემბერი, 2014</p>	<p><b>რესპონდენტი</b></p> <p>„ჩვენ 2008 წელში მშვენივრად ვნახეთ, ეს მხარდაჭერა წყლით და პამპერსებით დამთავრდა და ვთქვათ, ამერიკულმა ხომალდმა ვერ გაბედა ფოთში შესვლა...“</p> <p><b>გომა ხინღაშვილი</b> რეჟისორი, კავკასია, სპექტრი, 11 დეკემბერი, 2014</p>
--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

**მაგალითი 2. ვიქტორია ნულანდი და ფუნთუშები**

**გზავნილი:** უკრაინის მოვლენები ამერიკის ინსპირირებულია

მმართველი პარტიის საპარლამენტო წარმომადგენელს, ბიზნესმენ ლევან ვასაძესა და მედია-კავშირ „ობიექტივის“ წამყვანს უკრაინის მოვლენებში ამერიკის დესტრუქციული როლის საილუსტრაციოდ 2013 წელს კიევში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის, ვიქტორია ნულანდის მიერ საპროტესტო აქციების მონაწილეებისათვის ჩაის და ორცხობილების დარიგების ფაქტი მოჰყავთ.

<p><b>რესპონდენტი</b></p> <p>„ეს ომი, კიევის ცენტრის გადაწვა ამერიკელებმა არ მოახდინეს?! ვიქტორია ნულანდი დადიოდა და ფუნთუშებს არიგებდა კიევის ცენტრში ამ ოპოზიციონერებთან... რუსეთის აგრესია აღმოსავლეთ უკრაინაში, კიევში ამერიკელების მიერ მოწყობილი გადატრიალების შედეგია...“</p> <p><b>ლევან ვასაძე</b> ბიზნესმენი, იმედი, რაქეტა, 13 თებერვალი, ინტერპრენიუსი და Geworld.ge, რეპორტიორი, 14 თებერვალი 2015</p>	<p><b>ქართული ოცნება</b></p> <p><b>სოსო ჯაჭვლიანი:</b> „იქ [უკრაინაში] დიდი ინტერესი აქვს რუსეთს, ასევე, ევროპასა და ამერიკას... როცა ჩადიხარ და იქ აშკარად მხარეს იჭერ, უკვე შეტყვევლებს იმაზე, რომ არ ხარ სწორი“.</p> <p><b>მირიან ბოქლოშივილი, ჟურნალისტი:</b> „ვის გულისხმობთ?“</p> <p><b>სოსო ჯაჭვლიანი:</b> „ვის და იმ ამერიკელ დიპლომატებს, რომლებიც ჩადიან და ბულკებსა და რაღაცებს არიგებენ. ასეთი მხარდაჭერა ვინმემ რომ გამოიკეთოს, გადავატრიალებ ნებისმიერ მთავრობას“</p> <p><b>ბრაიმ-ტაიმი, 24 თებერვალი, 2014</b></p>	<p><b>ოქიანის ნაპირი</b></p> <p>„რეალურად საქმე გვაქვს დასავლეთის შეთქმულებასთან რუსეთის წინააღმდეგ... თქვენ რა ნულანდის ფუნთუშები არ გინახავთ? ასეთი ფუნთუშები მსოფლიოში ბევრი რიგდება. ეს ფუნთუშა იცოს სიმბოლური გამოხატულება მოსციდვისა“.</p> <p><b>გოდარი კვარაცხელია</b> საზოგადოებრივი მაუწყებელი, 1 სტუდია, 25 იანვარი, 2014</p>
-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------	---------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------

<sup>3</sup> აღნიშნული განცხადება არ შედის მონიტორინგის რაოდენობრივ მაჩვენებელში, რადგან საანგარიშო პერიოდის (თებერვალი, 2014-2015) შემდგომ არის გაკეთებული. ეს მაგალითი ჩვენ მხოლოდ მსგავსების საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ.

## მცდარი დილემის ტიპი

მცდარი დილემის ანუ შავ-თეთრი აზროვნების ტექნიკა გულისხმობს მხოლოდ ორი ალტერნატივის დასახვას და ერთ-ერთისათვის უპირატესობის მინიჭებას. ქვემოთ მოყვანილ მაგალითებში მცდარი დილემის ტექნიკა არა იმდენად იდენტურ ფრაზოლოგიებს, არამედ იდენტური ალტერნატივების დასახვას უკავშირდება.

### მაგალითი 3. რუსეთი დასავლეთის საპირწონედ

**გზავნილი:** დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, ინცესტს, პედოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს.

**გაბრუნება -  
ბაბრთ. დამოკრატვა**

„მე ვერასოდეს ვერ მივიღებ ჰომოსექსუალიზმის, ინცესტის დაკანონებას, ჩვენს ქვეყანაში ეს არის მიუღებელი, და თუ არჩევანი დგას ასე: **ინცესტის მიღება, თუ დარჩენა** იქ, სადაც ვართ, მე არ ვარ **რუსეთში**, მე ვარ საქართველოში, მე მინდა დავრჩე ჩემს ქვეყანაში“.

**ნინო გაბრუნება**  
პირველი, 2 მაისი, 2014

**ყოფილი  
თავდაცვის მინისტრი**

„თუ არჩევანი ასეა დაყენებული, მაშინ ჯობს ისევ რუსული ორიენტაცია, ვიდრე არატრადიციული ორიენტაცია!.. და რა მივიღებ ვეროპისა და ამერიკისგან? – მხოლოდ სიბილწე და გარყვნილება, ჩვენი რელიგიისა და ტრადიციების შეურაცხყოფა“.

**თინათინა კიკოძე**  
საბავლე-დასავალი, 5-11 მაისი, 2014

**ყოფილი  
სახელმწიფო დამცველი**

„შევხედოთ დღევანდელ ლიბერალურ სამყაროში რა დგას დღის წესრიგში – **ერთსქესიანთა ქორწინება** და ერთსქესიანთა ოჯახებისთვის **ბავშვის აყვანის უფლების დაკანონება**.. ქართველ ხალხს კი ამ დასავლეთს ისევ **რუსეთი** ურჩევნია!“

**ნანა დავითაშვილი**  
საბავლე-დასავალი, 15-21 სექტემბერი, 2014

**ჰომოსექსუალიზმი**

„**რუსი** მე დღეს არ მეუბნება, რომ ცოლად მოიყვანე ბიძაშვილი და ბიჭი შეირთე ცოლად და ყველაფერი უკუმბა რატომ ხდება ჩვენში?“

**ნინო აბაშვილი**  
ალია, 3-6 ოქტომბერი, 2014

### მაგალითი 4. ჰომოსექსუალობა ევროატლანტიკური ინტეგრაციის საპირწონედ

**გზავნილი:** დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას, ინცესტს, პედოფილიას, გარყვნილი ცხოვრების წესს.

**უფსუხაძის  
განათმეცნიერ და  
კულტურის მინისტრი**

„თუ შედეგსადაც საჭირო საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში გასაწევრებლად, მაშინ მე, დიმა ჯაიანს, ჩემს ცხოვრებაში **არ მომიხდება ნატოში შესვლა**“.

**დიმა ჯაიანი**  
პრაიმ ტაიმი, 31 მარტი, 2014

**გაბრუნება -  
ბაბრთ. დამოკრატვა**

„სულ ცოტა ხანში ჩვენც იგივე დაგვემართება, რაც ევროპასა და ამერიკას დაემართათ, სადაც დღის წესრიგს **სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლები** კარნახობენ!.. მაშინ ჩვენ უარი უნდა ვთქვათ ასეთ **ევროკავშირზე**, რომელიც არაფრად დაგვიდევს ათასწლოვან ქართულ ტრადიციებს და სარწმუნოებას!“

**გურამ ფაღვანიშვილი**  
საბავლე-დასავალი, 7-13 აპრილი, 2014

**სასულიერო პირი**

„რას ითხოვს ევროკავშირი საქართველოსგან? რომ ურჯულ-ებზე გადიოდეს ევროპისკენ მიმავალი გზა? ეს არის საოცნებო გზა? თუ ასეთია ევროპა, ვის რაში სტირდება ასეთი გათახსირებული პარტნიორი?“

**გიორგი რაზმაძე**  
ალია, 30 ივლისი, 2014

**სახელმწიფო**

„თუ **კონიიტას** უნდა დავემსგავსოთ, მაშინ მე, როგორც ამ ქვეყნის ერთი რიგითი მოქალაქე, **წინააღმდეგი ვარ ევროინტეგრაციის**“.

**გურამ ფირცხალაძე**  
კვირის ქრონიკა, 19-25 მაისი, 2014

## მაგალითი 5. ნატო ტერიტორიული მთლიანობის სანაცვლოდ

გზავნილი: ნატო = ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის საფრთხეს

### პუკატანაპი - ბაქარინადაპი დემოკრატიკა

„თუ ჩვენ ნატოს ბაზის სანაცვლოდ მზად ვართ აფხაზეთი და სამაჩაბლო დავთმოთ, მაშინ ეს ვთქვათ ხმამაღლა“.

**ინო პუკატანაპი**  
საქინფორმი,  
კვირის ქრონიკა,  
2 თებერვალი, 2015

### პატრონა აღიანი

„ზოგიერთისთვის მიწები ნატო-ზე იცვლება... მე მინდა ნატო-ში... მაგრამ მინდა ჩემი ქვეყნის მიწიანად და არა ტერიტორიების გარეშე... და ესეც რომ არ მოხდება?“

**ირა ინაპილი**  
რეპორტიორი,  
27 ნოემბერი, 2014

### პატრონა აღიანი

„ჩვენ რა უნდა გვიშველონ ამთბა [ნატომ]? აი, იმ საწვრთნელ ცენტრებსაც არ გახსნის, სადაც ვიღაც მემობხეები უნდა მოვამზადოთ და აფხაზეთში სიტუაცია ტრაგიკულად შეიცვლება“.

**ლავით თარანაპი**  
ობიექტივი, ღამის სტუდია,  
26 ნოემბერი, 2014

### ყოფილი სახალხო დასჯილი

„მეტი საქართველო ნატოში... ერთადერთს ნიშნავს - იაფი ქართული ჯარისკაცების გაგზავნას მსოფლიოს სხვადასხვა ცხელ წერტილში... დანარჩენი საქართველოს ნატოს ბაზად ქცევა საქართველოს სამუდამოდ დააკარგვინებს შანსს, ოდესმე მაინც აღიდგინოს მთლიანობა“.

**ნანა დედაჩიანი**  
Geworld.ge,  
10 დეკემბერი, 2014

### საინფორმი

„ვაშინგტონი მიიღწევს მიზანს - საქართველო ახალ საზღვრებში, ცხინვალისა და სოხუმის გარეშე, თავისუფლად შევა ნატოში, რუსეთთან ყოველგვარი გართულების გარეშე... აი, რატომ უბიძგებს აშშ საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებისკენ“

**არჩილინი**  
საქინფორმი,  
30 ივნისი, 2014

## დემონიზაციის ტექნიკა

დემონიზაციის ტექნიკა გულისხმობს მოწინააღმდეგის არაპრობლემურად წარმოჩენას, ბრალდებებისა და არასწორი განზოგადების გზით.

## მაგალითი 6. ჰუსეინი ხალხს მაინც არ კლავდა

გზავნილი: მოძალადე ამერიკა

ეჭვის დათესვა: შეიძლება თუ არა ამერიკა ჩიათვალოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად?

### დემონიზაციის ტექნიკა

„რომელი ჯობდა? ყოფილიყო იქ სადამ ჰუსეინის რეჟიმი, სადაც ხალხი ცხოვრობდა?... არაფერს არ კლავდნენ... სტატისტიკა გამოვიტანოთ და შევადაროთ, რამდენი ადამიანი მოკვდა ჰუსეინის რეჟიმის დროს და რამდენი მოკვდა იქ ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრის შემდეგ...“

**საჩხილ ქვიციანი**  
ობიექტივი, ღამის სტუდია, 23 აგვისტო, 2014

### დემონიზაციის ტექნიკა

„კი, ბატონო, არც ჰუსეინი იყო ფრთაშესხმული ანგელოზი. არც კადაფი იყო ამგვარი და არც ასადი, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რა პირობებში ცხოვრობდნენ იქ ადამიანები... მივიდა იქ [ამერიკა] და ასე ვთქვათ, ვინც ცხოვრობდა, ცოცხლობს და ვინც ცოცხლობდა, დასოცეს ისინი... ჩვენ შეგვიძლია განვიხილოთ ასეთი ქვეყანა იმ სტრატეგიულ პარტნიორად?“

**ჯონო მინარაძი**  
წამყვანი, ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 აგვისტო, 2014

## ცრუ ინფორმაციის გავრცელების და დემონიზების ტექნიკა

საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ბიოლოგიური უსაფრთხოების სფეროში მიმდინარე თანამშრომლობის ფარგლებში შექმნილი რიჩარდ ლუგარის სახელობის ლაბორატორიის შესახებ ცრუ ინფორმაციისა და არასწორი ინტერპრეტაციების გავრცელება, ამერიკის დემონიზებას ისახავდა მიზნად.

### მაგალითი 7. ლუგარის ლაბორატორიის ვირუსები ქართველი ხალხის გადასაშენებლად

**გზავნილი:** მოძალადე ამერიკა

**ეჭვის დათესვა:** შეიძლება თუ არა ამერიკა ჩიათვალოს ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორად?

**თავდაცვის ყოფილი მინისტრი**

„ვირუსული მენინგიტი, რომელმაც ბოლო ერთი თვის განმავლობაში ასობით ბავში დაავადა, ხელოვნურად გაშვებული ვირუსია იმ ლაბორატორიებიდან, რომელიც სააკაშვილმა ამერიკელებთან ერთად დაარსა!.. არსებობს ვირუსები, რომელიც მამაკაცებში იმპოტენციას იწვევს, ქალებში კი – უშვილობას. ეს კი უმართევესი ხერხია ერის გადასაშენებლად... საინტერესოა, რომ ასეთივე ლაბორატორია ამერიკელებმა დაარსეს უკრაინაში“.

**თენგიზ ძიტოვანი**  
ახავალ-დასავალი, 23-29 ივნისი, 2014

**სხალხო კრება**

„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს გლობალურ დონეზე მიმდინარეობს გენოციდი, რომელიც გულისხმობს ერების როგორც სულიერ, ისე ფიზიკურ განადგურებას, ყველაფერი ნათელი გახდება. ამიტომ არ არის გამორიცხული და დიდი ეჭვიც არსებობს, რომ ეს ვირუსები [ლუგარის ლაბორატორიიდან] ხელოვნურად ვრცელდება... ეს ქმედება მიმართულია იმისკენ, რომ საბოლოოდ ამოძირკვონ ქართველი ხალხი, ქართული ცნობიერება...“

**ელიზბარ ჭავჭავაძე**  
Geworld.ge, 28 მაისი, 2014

**საქინფორმი**

**სათაური:** „არდაბრუნების წერტილი და რიჩარდ ლუგარის სახელობის სიკვდილის ფაბრიკა“  
*საქინფორმი, 5 მაისი, 2014*

„ცუდია, რომ... საქართველო დღეს – არა „ჩამორჩენილი“ რუსეთის, მისი სანდლეული ეკონომიკით, არამედ ცივილიზებული ევროპისა და მაღალტექნოლოგიური აშშ-ის პარტნიორია! რომლებიც საქართველოში, ლუგარის ლაბორატორიაში ვირუსების გარდა, არაფერს არ აწარმოებენ“.

**ურნო ხილიჩაძე**  
8 დეკემბერი, 2014

## 4. რუსული პროპაგანდა ქართულენოვან მედიასში

რუსული პროპაგანდა, რომელსაც ახალ ჰიბრიდულ ომსაც კი უწოდებენ და რუსეთის სახელმწიფო სტრატეგიულ დოკუმენტებშიც ჰპოვა ასახვა<sup>4</sup>, საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებულ ფოკუსში უკრაინაში განვითარებული მოვლენების შემდეგ მოექცა. ევროკავშირის წევრი ქვეყნები რუსული პროპაგანდის საპასუხო ნაბიჯებს აქტიურად განიხილავენ.

Baltic to Black Sea Alliance-ის თანახმად, კრემლის პროპაგანდის სამიზნედ ბალტიისპირეთის ქვეყნების, საქართველოს, მოლდოვასა და უკრაინის მრავალრიცხოვანი რუსულენოვანი მოსახლეობა, ასევე საზოგადოების ის ნაწილი განიხილება, რომელიც მიჩვეულია მედიისგან ინფორმაციის რუსულ ენაზე მიღებას<sup>5</sup>.

<sup>4</sup> რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა (2007) და სახელმწიფო უსაფრთხოების სტრატეგია (2009) სტრატეგიულად მნიშვნელოვან ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებზე საინფორმაციო გავლენის გაძლიერებას ისახავს მიზნად.

<sup>5</sup> [http://www.bbsa.lv/wp-content/uploads/2015/03/Policy-paper\\_SHORT.pdf](http://www.bbsa.lv/wp-content/uploads/2015/03/Policy-paper_SHORT.pdf)

ამერიკის რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი ამრის ბოლო კვლევის შედეგების თანახმად (2015 წლის თებერვალი)<sup>6</sup>, საქართველოში საერთაშორისო ამბების, მათ შორის უკრაინის, რუსეთისა და ევროკავშირის შესახებ ინფორმაციის მთავარი წყარო – გამოკითხულთა 97 პროცენტისთვის ქართული ტელეარხებია, რუსული ტელე არხების წილი კი მხოლოდ 9 პროცენტს შეადგენს, რასაც რუსულენოვან ინტერნეტ-საიტებზე 2 პროცენტის წვდომა ემატება. ამავე კვლევის თანახმად, რუსულენოვან სოციალურ მედიას „ოდნოკლასნიკებს“ გამოკითხულთა 39 პროცენტი იყენებს.

საქართველოს შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, სახეზეა არა პირდაპირი რუსული პროპაგანდა, არამედ ირიბად, ანტიდასავლური პროპაგანდის მეშვეობით წარმართული სქემა, რომელიც ქართულენოვანი მედია საშუალებების მეშვეობით ხორციელდება. ჩვენი მონიტორინგის შედეგების თანახმად, ეს პრობლემა მენსტრუალური მედიისთვის დამახასიათებელი არ არის. სატელევიზიო მედიიდან ანტიდასავლური განწყობები და რუსული ნარატივი ყველაზე მკაფიოდ მედია-კავშირ „ობიექტივი“ იჩენს თავს, რომელსაც საერთო მაუწყებლობის ლიცენზია აქვს და საკაბელოების მეშვეობით ვრცელდება. „ობიექტივის“ სატელევიზიო რეიტინგების შესახებ მონაცემები არ მოიპოვება, ვინაიდან ის რეიტინგების სატელევიზიო აუდიტორიის გაზომვის კომპანიის „თი-ვი ემ-არ საქართველოს“ დამკვეთი არ არის.

იმ მედია საშუალებებიდან, რომლებიც გამოკვეთილად ანტიდასავლურ რიტორიკას მიმართავენ (იხ. დიაგრამა 2), პირდაპირ რუსულ წყაროებზე მითითებას ძირითადად მხოლოდ სამი მედია საშუალება „ობიექტივი“, „საქინფორმი“ და Geworld.ge ახდენენ. სააგენტოებში „პირველი“ და „რეპორტიორი“ გამოქვეყნებული თითო ანტიდასავლური შინაარსის შემთხვევა, სწორედ რუსულ წყაროებზე დაყრდნობით ინფორმაციის გადმოხედვას უკავშირდება. ქვემოთ წარმოდგენილია რუსული წყაროები, რომელთაც ეს მედია საშუალებები გაშუქებისას ეყრდნობიან.

### ცხრილი 1. რუსულენოვანი წყაროები ქართულ მედიაში

<b>ობიექტივი</b>	1TV.RU ЦСДФ - Центральная студия документальных фильмов	RT Poznavatelnoetv	РЕН-ТВ Россия 1	Россия 24	TV Про	TV-RIIP.NNM.RU
<b>საქინფორმი</b>	REGNUM RT Взгляд	warfiles.ru Свободная Пресса	Накануне.RU IA REX	Российская газета Politikus.ru		clubs.ya.ru
<b>GEWORLD.GE</b>	PIA Новости	телестудия МГИМО	www.georgians.ru			
<b>პირველი</b>	novinite.ru					
<b>რეპორტიორი</b>	PIA Новости					

<sup>6</sup> [http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/iri\\_georgia\\_public\\_2015\\_final\\_0.pdf](http://www.iri.org/sites/default/files/wysiwyg/iri_georgia_public_2015_final_0.pdf)

მედია-კავშირმა „ობიექტივმა“ ანდრეი კონდრაშოვის დოკუმენტური ფილმი „ყირიმი – გზა სამშობლოსკენ“, რომელიც ტელეკომპანია „როსსია 1“-ს ეთერით გავიდა, რუსულ ენაზე შესთავაზა მაყურებელს, ხოლო ინტერნეტ-პორტალმა Geworld.ge-მა გაშიფრული ტექსტური ვერსია რამდენიმე ნაწილად შესთავაზა მკითხველს.

გარდა იდენტიფიცირებადი რუსული წყაროებისა, „ობიექტივის“ ეთერში ასევე ვხვდებით, სხვადასხვა რუსულენოვან ვიდეო მასალებს და ინგლისურენოვან ფილმებს, რომელთა წყაროების დადგენა შეუძლებელია. ასე მაგალითად, „ობიექტივის“ თოქ-შოუმ მაყურებელს წარუდგინა ინგლისურენოვანი ფილმი „სოდომი“, რა დროსაც წამყვანმა აღნიშნა, რომ ფილმის ავტორის შესახებ ვერაფერს იტყოდა. თავად ფილმი მცადრი დილემის ტექნიკას ავითარებდა, სადაც დასავლეთი უზნეობის დამკანონებლად იყო წარმოჩენილი, ხოლო რუსეთი, სადაც ჰომოსექსუალობას კანონმდებლობით ებრძვიან, პოზიტიურ ალტერნატივად იყო დასახული.

### **ინფორმაციის ფაბრიკაცია: ქართულ-უკრაინული პარალელები**

ინფორმაციის ფაბრიკაციის მცდელობები, რისი მიზანიც ხელოვნური რეალობის შექმნა და დასავლეთის დემონიზების გზით, საზოგადოების შეცდომაში შეყვანა იყო, უკრაინას უკავშირდებოდა. წარმოდგენილი მაგალითები ზოგ შემთხვევაში ბუკვალურად იმეორებს ან მიახლოებულია იმ ქარგასთან, რომელსაც საქართველოს შიდა პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით ქართულენოვანი მედია საშუალებები ავრცელებდნენ.

### **ფაბრიკაცია ევროკავშირის მიერ უკრაინაში საკონცენტრაციო ბანაკის აშენების შესახებ**

რუსული წყარო: politikus.ru

ქართული მედია წყარო: საქინფორმი

საქინფორმმა რუსულ წყაროზე – politikus.ru დაყრდნობით, გამოაქვეყნა მასალა, თითქოს ევროკავშირი უკრაინაში, თურქული კომპანიის მონაწილეობით, პოლიტიკური პატიმრებისთვის საკონცენტრაციო ბანაკებს აშენებს. მასალას თან ერთვის ფოტოფაბრიკაცია, ერთი მხრივ, ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკის ფოტო და მეორე მხრივ, თანამედროვე მშენებარე ტერიტორიების ფოტოები, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც უდანოვკის მომავალი ოსვენციმის ბანაკი (4 აპრილი, 2014).

### **ფაბრიკაცია უკრაინასა და საქართველოში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობის შესახებ**

უკრაინულენოვანი წყარო: Slovo.net.ua

ქართული მედია წყაროები: საქინფორმი, ambebi.ge, ასავალ-დასავალი

საქინფორმი: „მემარჯვენე სექტორსა და უკრაინის არმიამი გამოჩნდნენ უცხოელი ექიმები სპეციალტურვილობით, რომლებიც მოკლულთა და მძიმედ დაჭრილთა ორგანოების ამოკვეთას ეწეოდნენ.... ძალიან დიდა იმის ალბათობა, რომ ევროინტეგრაციის ზოგიერთი მომხრე ევროპაში სხვებზე ადრე აღმოჩნდება, ოღონდ ნაწილ-ნაწილ“ (საქინფორმი, 24 ივნისი, 2014).

მასალას თან ერთვის დასახირობელი გვამის ფოტო, ასევე ფოტო, რომელზეც ამერიკის და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტები ჯორჯ ბუში და მიხეილ სააკაშვილი, საქართველოს ყოფილი პირველი ლედი სანდრა რულოვსი ერთად არიან.

სანდრა რულოვსის მიმართ დაუსაბუთებელ ცნობებს, თითქოს ის პატიმრებს საცდელ ცხოველებად და მათ ორგანოებს ტუბერკულოზის წამლების დასამზადებლად იყენებდა, პერმანენტულად აქვეყნებდა გაზეთი „ასავალ-დასავალი“, ხოლო საინფორმაციო პორტალმა **ამებები.ge**-მ უკრაინულენოვან **Slovo.net.ua**-ზე დაყრდნობით, გადმობეჭდა ინფორმაცია, თითქოს უკრაინაში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა სააკაშვილის ოჯახურ ბიზნესად იქცა. ამ უკანასკნელს თან ერთვოდა ფოტო მონტაჟი, რომელზეც ევროკავშირის დროშის ფონზე მიხეილ სააკაშვილი და სანდრა რულოვსი და ადამიანის ორგანოები იყო გამოსახული.

### **ფაბრიკაცია უკრაინაში დაქირავებულ მებრძოლებად შავკანიანების და ამერიკელი ინსტრუქტორების ჩაყვანის შესახებ**

**რუსული წყარო:** warfiles.ru

**ქართული წყარო:** საქინფორმი

warfiles.ru-ზე დაყრდნობით, საქინფორმმა გამოაქვეყნა მასალა „უკრაინელი ტანკისტები – შავკანიანი დაქირავებული მებრძოლები უკრაინაში ჩასული 180 ამერიკელი ინსტრუქტორის შემადგენლობიდან!“, რომლის ილუსტრირებად, ერთი მხრივ, დასახირობელი გვამის ფოტოა, გვერდით კი ამერიკელი ინსტრუქტორების, რომლებიც ოპერაციას გეგმავენ. იმავე წყაროზე დაყრდნობით, გამოქვეყნებულ მეორე მასალას „2014 წლის აგვისტოში უკრაინაში ტყვედ აიყვანეს ქართულ ენაზე მოლაპარაკე შიშველი აფროამერიკელი, რომელიც 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის სამხედრო მრჩევლად მუშაობდა“ თან ახლავს არაიდენტიფიცირებული ფერადკანიანების ფოტო, რომელთაგან ერთს აქვს რუსულენოვანი წარწერა „2014 წლის უკრაინის არმიის მებრძოლი“, ხოლო მეორეს – „2008 წლის აგვისტოს ომში ქართული არმიის ინსტრუქტორი“.

**შენიშვნა:** იდენტური კონსტრუქციის ფაბრიკაცია გამოავლინა უკრაინულმა პორტალმა **stopfake.org**-მა, რომელიც რუსული პროპაგანდის საპასუხოდ შეიქმნა და შეეხებოდა მცდარ ინფორმაციას იმის შესახებ, თითქოს ხარკოვში „დაქირავებული მებრძოლი ამერიკელი შავკანიანები“ ჰყავდათ ჩაყვანილი<sup>7</sup>.

### **ფაბრიკაცია უკრაინაში ამერიკელების მიერ დაზღადებული ბაქტერიოლოგიური იარაღის ჩაბანის შესახებ**

**რუსული წყარო:** REGNUM

**ქართული წყარო:** საქინფორმი

**REGNUM:** „ამ დღეებში უკრაინაში ჩამოვიდა ბაქტერიოლოგიური იარაღი საქართველოდან, რომელიც აშშ-ის სპეციალისტების ზედამხედველობით დამზადდა... იგეგმება, რომ სასიკვდილო შიგთავსიანი პროდუქტი გაიგზავნოს ლუგანსკსა და დონბასში, ამასთან, ისინი დაბალფასად გაიყიდება“ (12 ივნისი, 2014). მასალას თან ერთვის აირწინაღობიანი სამხედროების ფოტოილუსტრაცია.

<sup>7</sup> [http://eurocommunicator.ge/geo/view\\_myth/39](http://eurocommunicator.ge/geo/view_myth/39)

## 5. ანტიდასავლური განწყობები წყაროების მიხედვით

### 5.1. აქტუა

#### საპუბლიკო აქტუა

##### თბილისი, თოქ-შოუ „ღამის სტუდია“

სატელევიზიო მედიაში ანტიდასავლურ განწყობებს ყველაზე გამოკვეთილად მედია-კავშირ „ობიექტივის“ წამყვანები, მათი რესპონდენტები და სატელეფონო ჩართვების რეჟიმში, მაცურებლები გამოხატავდნენ. აღნიშნული ტელეკომპანია, რომელიც თურქოფობიისა და ისლამოფობიის გაღვივებით გამოირჩევა, დაკავშირებულია პოლიტიკურ მოძრაობა „პატრიოტთა ალიანსთან“, რომელმაც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე პირველად მოიპოვა საკრებულოებში წარმომადგენლობა (5,37%).

იმის გათვალისწინებით, რომ გადაცემაში სისტემატიურად გადის მაცურებელთა ერთგვაროვანი ზარები, არ არის წარმოდგენილი საზოგადოებაში არსებული განსხვავებული მოსაზრებები და წამყვანებიც იზიარებენ გამოთქმულ შეხედულებებს, სატელეფონო ზარებიც თავად თოქ-შოუს სარედაქციო პოზიციის გამოხატულებად ჩავთვალეთ. ხოლო რესპონდენტების მონაცემებს ჩვენ ცალკე განვიხილავთ, პოლიტიკოსების და საზოგადოების სხვა წარმომადგენლების ნაწილში.

მთავარი გზავნილები, რომელთაც „ობიექტივი“ ავითარებდა უკავშირდებოდა დასავლეთს, რომელიც თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას (14); ებრძვის მართლმადიდებლობას (10) და ოჯახურ ტრადიციებს (2); ამერიკის მოძალდედ, გადატრიალებების ინსპირატორად წარმოიჩინას (13); ევროატლანტიკური ინტეგრაციის საფრთხეებს, მათ შორის, თურქეთის ექპანსიასთან და ტერიტორიების დაკარგვასთან გაიგივებას (13). არხის წამყვანები ავითარებდნენ მოსაზრებას, რომ საქართველო გარე ძალების მიერ იმართება (10); რუსეთი დასავლეთის საპირწონედ (10), უკრაინის მოვლენები – დასავლეთის პროვოცირებულად (8); ხოლო ასოცირების ხელშეწყობა საქართველოს ეკონომიკისთვის დამაზიანებლად იყო წარმოდგენილი (3). აღსანიშნავია, რომ ტელეწამყვანის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დადანიშნულება უცხო ქვეყნის აგენტობაში (1) უკავშირდებოდა ამ ორგანიზაციების კრიტიკას ხელისუფლების მიმართ ფარული მიყურადების კანონმდებლობაში არსებულ სისტემურ ხარვეზებთან მიმართებაში. ადგილი ჰქონდა ასევე ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს დამფუძნებლის, ჯორჯ სოროსის წინააღმდეგ მიმართულ (1) და სხვა განცხადებებს (2).

ცალკეული მაგალითები:

##### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **სოსო მანჯავიძე<sup>8</sup>:** „...თუ კვლავ გააგრძელებს ასეთი ტიპის უხემ ბეწოლას და ჩვენ გავცხდის იძულებულს, რომ დაგვაყენებს ალტერნატივის წინაშე, რომ ერთსქესიანი ქორწინებები და სხვა მომყოლი, ასე ვთქვათ, „მომხიბლავი მოვლენები“, თუ ევროკავშირში გაწევრიანება, ქართველი ხალხი ეტყვის არას ევროკავშირს და საერ-

<sup>8</sup> ამჟამად თბილისის საკრებულოს წევრი.



თოდ, ევროპას და აიღებს მკვეთრად ჩრდილოურ ვექტორს, თავისი პოლიტიკური ორიენტაციისას...“ (4 მარტი, 2014).

#### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

- **ვალერი კვარაცხელია:** „როდესაც ლაპარაკობ, რომ მართლმადიდებელი ვარ და არ მინდა მე აი, ეს შემოვუშვა და მივიღო, მაშინ კეთილი უნდა ინებო და თქვა, რომ ჩვენ არ მივდივართ ნატოსკენ, არ მივდივართ ევროპისაკენ. ჩვენ ვართ მართლმადიდებელი ქვეყანა და მივდივართ მართლმადიდებლურ ქვეყანასთან ჰარმონიზირებული ურთიერთობისკენ“ (18 მაისი, 2014).
- **ბონდო მძინარაშვილი:** „ანუ ეს [ევროკავშირთან ასოცირება] არის ბრძოლა მართლმადიდებლობასთან?“ (21 მარტი, 2014).

#### ამერიკა – გადატრიალებების/ძალადობის ინსპირატორი

- **ვალერი კვარაცხელია:** „ისინი, ვინც სტალინურ რეპრესიებზე გაუთავებლად გაჰყვირიან, მაგრამ ხმას არ იღებენ ამერიკელთა უამრავ დანაშაულზე, დაწყებული ამერიკის კონტინენტზე აბორიგენი მოსახლეობისთვის გენოციდის მოწყობით და დამთავრებული იუგოსლავიით, ერაყით, ავღანეთით... გსმენიათ თუ არა ამ ეგრეთწოდებული ჰუმანიტების მიერ გამოთქმული პროტესტი იმ საშინელ ვანდალიზმზე, იმ წარმოუდგენელ მხეცობაზე, რომელიც ამერიკელებმა იაპონიაში ჩაიდინეს?“ (21 დეკემბერი, 2014).
- **ვალერი კვარაცხელია:** „რა თქმა უნდა სანამ აშშ კავკასიის რეგიონშია, ადვილად შესაძლებელია ისეთი სიბინძურების განხორციელება, როგორც იყო ე.წ. „ვარდების რევოლუცია“, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ და ათასი სხვა უბედურება, რომელიც ამერიკული რეჟიმის დასამყარებლად იყო გამოგონილი...“ (24 სექტემბერი, 2014).

#### ევროატლანტიკური ინტეგრაცია = საფრთხეებს, ტერიტორიების დაკარგვას

- **ვალერი კვარაცხელია:** „ნატოს მისია იმ ადამიანების მოგონილია, რომლებიც ისეთ სიტუაციებს, ისეთ რაღაცეებს ქმნიან, როგორც საფრანგეთში შეიქმნა ახლახან [ტერაქტი „მარლი ებდოს“ რედაქციაზე]“ (14 იანვარი, 2015).
- **ბონდო მძინარაშვილი:** „ჩვენ ვნახეთ იუგოსლავიის ფედერაცია როგორ დაიშალა და ცალ-ცალკე არიან ევროკავშირის წევრები, პატარ-პატარა რესპუბლიკები... ევროპისთვის იმ ფონზე, როდესაც საქართველოში ან ცხინვალის რეგიონიდან დევნილი მოსახლეობისთვის შენდება საცხოვრებელი ბინები... ევროპა ამაში ძალიან აქტიურად არის ჩართული. სხვადასხვა ქვეყნების პროექტით ბატონი დარახველიძე აშენებს... ფაქტობრივად ევროპა ხომ არ ცდილობს ჩვენს დისტანცირებას აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან?“ (17 ივლისი, 2014).

#### ასოცირების ხელშეწყობა საქართველოს აკაბალებს

- **ნინო რატიშვილი:** „ეკონომიკური ნაწილში [ასოცირების ხელშეწყობის] ხელმოწერა აკაბალებს საქართველოს“ (19 მაისი, 2014).

#### უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია

- **ვალერი კვარაცხელია:** „ის, რაც უკრაინაში ხდება, ეს არის დასავლეთის შეთქმულება რუსეთის წინააღმდეგ მეთქი...“ (23 თებერვალი, 2014).

## რუსეთი vs. ამერიკა

- **ტელემაყურებელი:** „და ვისწრაფვოდეთ საერთოდ ქრისტიანთა საშველად, და არა ამერიკული წეს-ჩვეულებების დასანერგად, და თუ არ მოვიშლით მტრობას ჩვენ რუსების და აფხაზების, და თუკი ამერიკას ვუჭერებთ და მის ტყუაზე უნდა ვიაროთ, მაშინ ბარემ რუსის ჩექმა გვეწმინდა“ (4 ნოემბერი, 2014).

## არასამთავრობოები – უცხოეთის დაქირავებული აგენტები

- **ბონდო მძინარაშვილი:** „ესენი [არასამთავრობო ორგანიზაციები] არიან ფაქტობრივად უცხოეთის სახელმწიფოების დაქირავებული საქართველოში... და სწორედ ამიტომაც არის, რომ ატეხილი არიან ესენი, რომ მოსმენების უფლება ჩამოართვან სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებს და გადასცენ უცხო ქვეყნის დაფუძნებულ მობილურ ოპერატორებს“ (19 ნოემბერი, 2014).

## სხვა

ევროპაში მედია-კავშირ „ობიექტივის“ წარმომადგენლის, გიორგი ფოფხაძის პრესაში გაკეთებული ანტიდასავლური განცხადებები (3) ჩვენ ცალკე გამოვყავით. ამჟამად ის ბრიუსელში საზოგადოებრივი მაუწყებლის კორესპონდენტია, თუმცა აქ მოყვანილი განცხადებები პირველ არხზე მის დანიშვნამდე, 2014 წლის 2 ნოემბრამდე, სხვა მედია საშუალებებშია გაკეთებული.

## დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **გიორგი ფოფხაძე:** „სოსო ჯაჭვლიანი არ შემოიტანა ტერმინი „მესაჯდომეები“ და ხმალამოღებული არ იბრძოდა პედერასტების წინააღმდეგ?! არადისკრიმინირებულო საქართველო, უკანალით შევდივართ ევროპაში?.... ევროპის კარი ტრაკით არა მხოლოდ შევალეთ, ისე წინ წავედით, რომ უკვე იქა ვართ!.. თან უკუსვლით მივდივართ და თან, საჯდომით“ („კვირის ქრონიკა“, 5-11 მაისი, 2014).

## სკეპტიციზმი ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით

- **გიორგი ფოფხაძე:** „გეკითხებით, ვის რაში სჭირდება საფრანგეთში, ან იტალიაში, შენი ქართული ღვინო როცა იგივე ღვინოს ფრანგი ჰყიდის 2 ევროდ. შენი ქართული ღვინო ცნობილ ფრანგულ ბრენდებს ვერ აჯობებს, რომლებიც 100 წელია ბაზარზეა“ („კვირის ქრონიკა“, 19-25 მაისი).
- **გიორგი ფოფხაძე:** „უნდა იყოს დისკუსია, რა შედეგებს მოგვითანს ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება... ამ დროს ადამიანთა დიდმა ნაწილმა არ იცის, რა პლუსები აქვს ამ ხელშეკრულებას და რა მინუსები. ისე ვაწერთ ხელს, რომ საზოგადოებაში ამ თემაზე დისკუსიაც კი არ დაწყებულა“ („ალია“, 26 ივნისი).

## თელეკომპანია „იმედი“

ერთადერთი შემთხვევა, როდესაც გავლენიან მენისტრიმულ სატელევიზიო არხზე დაუბალანსებელი სიუჟეტი გავიდა, რომელიც ანტიდასავლური კონტექსტის მატარებელი იყო, ტელეკომპანია „იმედის“ გადაცემა „პანორამას“

უკავშირდება (23 მარტი, 2014). გადაცემის წამყვანმა ყირიმის ანექსია დაუსაბუთებლად დაუკავშირა სომხეთის პარლამენტის წევრის, შირაქ ტოროსიანის განცხადებას, ჯავახეთში აჯანყების შესახებ და მისი ამ მოსაზრების ასოცირება (რომლის არც წყარო, არც წარმომავლობა სიუჟეტში იდენტიფიცირებული არ ყოფილა) საქართველოში მცხოვრები ეთნიკური სომხების პოზიციასთან მოახდინა.

● **სოსო კაციტაძე:** „რა განწყობებია ჯავახეთში ყირიმის ანექსიის შემდეგ? სომხეთის პარლამენტის წევრი, შირაქ ტოროსიანი საქართველოს ნატოში გაწევრიანების შემთხვევაში, ჯავახეთში აჯანყებით იმუქრება. საქართველოს მოქალაქე ეთნიკურ სომხებში მართლაც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა ბაქო-თბილისი-ყარსის დამაკავშირებელი რკინიგზის მშენებლობის მიმართაც. მიზეზი აქაც ნატო და თურქეთია“.

როგორც გადაცემის წამყვანის, ასევე ჟურნალისტის მხრიდან იკვეთება საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების მცდელობა, რადგან სიუჟეტის რესპონდენტებად მხოლოდ ერთი შეხედულების მქონე ადამიანები არიან შერჩეული, ხოლო მათი მოსაზრებები განზოგადებულია საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ სომხებში მოქალაქეებზე, რაც ანტიურქული და ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში საქართველოს გაწევრიანების წინააღმდეგ განწყობების გაღვივების კუთხით არის მოწოდებული.

● **გურამ როგავა:** „თუმცა სტრატეგიულად მნიშვნელოვან ამ პროექტს [ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის პროექტი] ეწინააღმდეგებიან საქართველოში მცხოვრები სომეხი ეროვნების მოქალაქეები. მათთვის მთავარი პრობლემა თურქეთია“.

ამ განზოგადებას მთელ ეთნიკურ ჯგუფზე (საქართველოს მოქალაქე სომხებზე) ჟურნალისტი ერთი რესპონდენტის, გაზეთ „ახალი სათავის“ რედაქტორის, მეღს ტოროსიანის კომენტარის საფუძველზე აკეთებს, რომელიც პოტენციურ საფრთხეებზე საუბრისას, თავის მხრივ, არა დადასტურებელ ფაქტებზე, არამედ მოარულ ხმებზე აპელირებს:

● **მელს ტოროსიანი:** „რკინიგზის მთავარი მიზანი თურქი ხალხების გაერთიანებაა. ძალიან დიდი უკმაყოფილება მოჰყვა ამას იმიტომ, რომ უკვე იმ ფირმებმა, რომლებიც რკინიგზას აშენებენ, გაავრცელეს ხმები, რომ საქართველოს ხელისუფლება რკინიგზის დაცვას ჩააბარებს ამერბაიჯანელებს. ამერბაიჯანის და სომხეთის ურთიერთობები თქვენ ჩემზე კარგად იცით. ანუ რკინიგზა მხოლოდ რელსები არაა, გვერდით გზები უნდა მივცეთ – კილომეტრი აქედან, კილომეტრი იქიდან და მთელ ჯავახეთს გააკონტროლებენ ამერბაიჯანელები“.

მედია საშუალებას არ მიუღია სათანადო ზომები ჯეროვანი სიზუსტის უზრუნველსაყოფად და აუდიტორიის შეცდომაში შეყვანის თავიდან ასარიდებლად. სიუჟეტში არ არის წარმოდგენილი საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, რესპონდენტის მიერ მოყვანილ მოარულ ხმებთან დაკავშირებით, თითქოს საქართველოს მთავრობა რკინიგზის დაცვას ამერბაიჯანელებს ჩააბარებს, რაც ერთის მხრივ, მედია საშუალების მიერ ჭორობის ტირაჟირებას, ხოლო მეორე მხრივ, სიტუაციის ხელოვნურად დაძაბვას უწყობს ხელს. უფრო მეტიც, ყოველად დაუშვებ-

ლია, როცა ჟურნალისტი რესპონდენტის მიერ შემოთავაზებულ ამ ვერსიას საფრთხეების და ეთნოკონფლიქტების ჭრილში განაზოგადებს.

● **გურამ როგავა:** „მიზანი ამერბაიჯანისა და თურქეთის გაერთიანება და საქართველოს მიწაზე დასახლებული სომხების ემიგრირებაა“.

მედია საშუალებამ დაარღვია მაუწყებელთა ქცევის კოდექსის მე-13 (2) (მაუწყებელი ვალდებულია, მიაწოდოს აუდიტორიას სანდო და ზუსტი ინფორმაცია, არ დაუშვას ცრუ ან შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის გავრცელება); მე-14 (4) (როგორც წესი, მაუწყებელი არ უნდა დაეყრდნოს ინფორმაციის მხოლოდ ერთ წყაროს და სხვა წყაროებიდანაც უნდა მოიძიოს ინფორმაცია); მე-16 (4) (მაუწყებელი ვალდებულია ერთმანეთისაგან მკაფიოდ გამიჯნოს ფაქტი და კომენტარი. თავიდან უნდა იყოს აცილებული მოსაზრებათა ცალმხრივი ინტერპრეტაცია); მე-18 (1,2) (1. პოლიტიკური მოვლენების თავისუფალი და მიუკერძოებელი გაშუქების უზრუნველსაყოფად, მაუწყებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მიუკერძოებლობა არ გულისხმობს თითოეული შეხედულებისთვის თანაბარი დროის დათმობას, არამედ მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს ყველა მნიშვნელოვანი მოსაზრების სათანადო წარმორჩენა. 2. პროგრამა ან სიუჟეტი მიკერძოებული იქნება, თუ ის არ მოიცავს ამომწურავ ინფორმაციას მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, აგებულია უმნიშვნელო ფაქტებზე, შეგნებულად ან გაუცნობიერებლად შეჰყავს აუდიტორია შეცდომაში, შენიღბული სახით გამოხატავს მიკერძოებული პირის მოსაზრებებს) მუხლები.

## ბიჭღვიძი ბიძია

### გაზეთი „ასავალ-დასავალი“

ბეჭდვითი მედიიდან ანტიდასავლურ რიტორიკას ყველა მეტად გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ვხვდებით, რომელიც ამავდროულად ქსენოფობიური და ჰომოფობიური მიდგომებითაც გამოირჩევა.

დომინანტი მოსაზრება აქაც დასავლეთის მიერ საქართველოსათვის ჰომოსექსუალობის თავსმოხვევა იყო (15), მართლმადიდებლობასთან ბრძოლა ქართული სულიერებისა და ფასეულობების წინააღმდეგ გლობალური მასშტაბის შეტევასთან იყო გაიგივებული (5), ყოფილი მმართველი გუნდი – ნაციონალური მოძრაობა დასავლეთთან იყო დაკავშირებული (5), დასავლეთი კი კორუმპირებულად (1) და უკრაინის მოვლენების ინსპირატორად იყო წარმორჩენილი (4). გამოითქმოდა მოსაზრება, რომ საქართველო, გარე ძალების მიერ მართულია (3), ხოლო საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია დასავლეთმა მისი ეროვნული პოზიციის გამო გაიმეტა (4). ნატოში ინტეგრაცია ტერიტორიების დაკარგვის საფრთხედ (2), ხოლო ევროპა და ამერიკა გადატრიალებებისა და ევრო-მაიდნის ინსპირატორად იყო წარმორჩენილი (1).

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

● **სათაური:** „პიდარასტები მოდიან!“

**დიმიტრი ჩუბინიძე:** „ამ ღვთიებობებზე მიწას გამძვინვარებული რუსეთის იმპერია უტევს ტანკით, ხოლო გაბახებული, თავლაფდასხმული დასავლეთი – უკაცრავად პასუხია და ტრ...კით!.. დღეს საქართველო მოქცეულია ორ უბედურებას შორის. ერთს ცეცხლისა და დენთის სუნი ასდის, ხოლო მეორეს – აქოთებული ტრანსექსუალების, ტრანსვესტიტებისა და ჰომოსექსუალების“ (5-11 მაისი, 2014).

● **დიტო ჩუბინიძე:** „დიახ, მკვდარია ჩემი ქვეყანა და სად შეჩურთავენ მას – პუტინის ევრაზიულ ბადეში თუ ევრო-ამერიკულ გეი-კლუბში, უკვე სულერთია!“ (31 მარტი -6 აპრილი, 2014).

● **გიორგი გიგაური:** „ხვალ-ზევ, „ღვებ ადამიანებმა“, შეიძლება განაცხადონ, თუ საქართველო ნატო-სკენ ისწრაფვის, მაშინ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსის სტანდარტებით უნდა ვიცხოვროთ და ჩვენც გვინდა საქართველოს არმიში სამსახური და გეებს – კაბებში, ლეხბოსელებს კი – შარვლებში გამოვწყებაო!“ (10-16 ნოემბერი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

● **გიორგი გიგაური:** „საქართველოს დღესაც ებრძვიან, რადგან ჩვენს თვალწინ, ათასწლოვანი ქართული სამოციქულო მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ მიმდინარეობს ტოტალური, გლობალური მასშტაბის შეტევა, რომლის მიზანია – ქართული სულიერებისა და ფასეულობების ამ უკანასკნელი ციტადელის აღგვა პირისგან მიწისა!“ (22-28 დეკემბერი, 2014).

### ნატო= ტერიტორიების დაკარგვას

● **გიორგი გიგაური:** „სწორედ ამ „ნატო-ნატოს“ ძახილმა იყო, საქართველოს მეხუთედი, რომ დაგვაკარგვინა! და ახლა, როგორც ჩანს „ნატო-ნატოს“ იმიტომ გავიძახით, რომ იმ დაკარგულ მიწებს საბოლოოდ დავემშვიდობოთ, ოღონდ დარჩენილი საქართველო შეგვითრიონ ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში“ (9-15 ივნისი, 2014).

### უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია

● **გიორგი გიგაური:** „არავინ გამორიცხავს, რომ უკრაინას ევროპა და ამერიკა ზუსტად ისევე ანაწევრებენ და წეწავენ, როგორც საქართველო გაყვეს 2008 წლის აგვისტოს ომით!“ (17-23 მარტი, 2014).

### დასავლეთი – გადატრიალებების ინსპირატორი

● **ჯაბა ხუბუა:** „ევროპამ და ამერიკამ შესაძლოა, აქ მორიგი „ფერადი რევოლუცია“ მოაწყოს „რუსული ხელისუფლების“ შესაცვლელად, ან კიდევ უარესი - თბილისში კიევური „ევრომაიდნის“ სცენარი განავითარონ!“ (12-18 მაისი, 2014).

### საქართველო გარე ძალების მიერ იმართება

● **დიტო ჩუბინიძე:** „მოხდა საშინელი რამ – ქუთაისელი აბიტურიენტების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, ე.წ. „ჩაჩხვის“ შიშით აქაოდა, „პედერასტების კანონის“ ხელმომწერ ხელისუფლებასა და იელოველებითა და სოროსის ლეკვებით გადაჭედელ განათლების სამინისტროს ჩვენი ეროვნულ-პატრიოტული ამრები არ მოეწონებაო, თხზულება უკუღმართად დაწერა. არაფერი თქვა იმის შესახებ, რომ საქართველო უკვე კარგა ხანია, რაც ორი ბატონის მსახური კოლონიური სახელმწიფოა“ (30 ივნისი-6 ივლისი, 2014).

### დასავლეთმა ზვიად გამსახურდია გაიმეტა

- **ზაზა დავითაია:** „და, რა თქმა უნდა, ზვიადი არასოდეს იტყოდა: „მე ვარ ქართველი, მაშასადამე, ვარ ევროპელი!“ იმაშიც დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ზვიადი საქართველოში არ დაუშვებდა უცხოეთიდან მართული და ნასყიდი ასო-კრატის პარპაშს! აი, ამიტომაც მოკლეს ზვიად გამსახურდია!“ (7-13 ივლისი, 2014).

### დასავლეთის დაკავშირება ნაციონალურ მოძრაობასთან

- **გიორგი გიგაური:** „ღიას, თუ ევროკავშირისთვის მამაკაცების გაუპატიურების სისტემის შემქმნელი და წამახალისებელი სააკაშვილი საპატიო სტუმარია, მაშინ ქართველ ხალხში ევროკავშირიც მამაკაცების გაუპატიურებელი სისტემის შემქმნელ სააკაშვილთან ასო-ცირდება!“ (22-28 დეკემბერი, 2014).

### კორუმპირებული დასავლეთი

- **ჯაბა ხუბუა:** „ღმერთმა ნუ ქნას, დადასტურდეს, რომ ეს ბილდები ოფიციალური მექრთამეები და ფულზე გაყიდული პოლიტიკანები არიან, თორემ, აი მაშინ, საქართველოს მოსახლეობა უკვე საბოლოოდ დაკარგავს რწმენას ევროპა-ამერიკის დემოკრატიულობაზე!“ (11-17 აგვისტო, 2014).

### გაზეთები „კვირის ქრონიკა“ და „ალია“

„ალია“ ჰოლდინგში შემავალი გაზეთები: „კვირის ქრონიკა“ და „ალია“, რომელთაც ერთი და იგივე ავტორებიც ჰყავთ, ჩვენ ერთად დავაჯგუფეთ. აღნიშნულ გამოცემებშიც იდენტურ ნარატივს ვხვდებით: რომ საქართველო გარე ძალების მიერ იმართება და ის ამერიკისთვის კოლონიაა, რომელსაც რუსეთთან დაპირისპირებისთვის იყენებს (7), ნაციონალურ მოძრაობასთან დასავლეთის დაკავშირებასთან ერთად (7), ფიგურირებდა მოსაზრება, რომ ჰომოსექსუალობა ამერიკის და ევროკავშირის მიერ თავსმოხვეული ვალდებულება იყო (5), უკრაინის მოვლენები აქაც დასავლურ ინსპირაციად იყო წარმოჩენილი (3), არასამთავრობო ორგანიზაციები კი – უცხოეთის აგენტებად, რომლებიც ებრძვიან ეროვნულ ფასეულობებს და რომელთა დაფინანსება ხელისუფლების კონტროლს მიღმა არის (3). ევროპულ უმცირესობათა რეგიონული ენების ქართია, რომელიც უმცირესობათა უფლებების რეალიზაციას უკავშირდება, აქაც ქვეყნის წინააღმდეგ მიმართულ მზაკვრულ გეგმად იყო წარმოჩენილი (2), ასოცირების ხელშეკრულება კი – პრობლემად (2). რუსეთისთვის დამატებითი სირთულეების შექმნის მიზნით, საქართველოში მაიდნის სცენარის განმეორებაზე (1) და სოროსზე, როგორც ანტიეროვნულ მოვლენაზე (2) და სხვა საკითხებზე (6) აღნიშნული გაზეთებიც ამახვილებდნენ ყურადღებას.

ცალკეული მაგალითები:

### საქართველო გარე ძალების მიერ იმართება

- **შორენა გოგოლიძე:** „...ეხება ევროკავშირის კომისიის მუშაობას, რომელიც განგვისაზღვრავს ცხოვრების წესს და ეკონომიკურ საკითხებს, თუმცა სინამდვილეში ეს კომისია პოლიტიკას განგვისაზღვრავს. ეს კომისია საქართველოსთვის პარალელურ მთავრობად ითვლება და სწორედ ამის გამო ჰქონდა უარყოფითი პოზიცია უწმინდესს“ (ალია, 6 მარტი, 2014).

- **გიორგი ჭიქიაშვილი:** „დღეს კი უკვე დიდმა და პატარამ იცის, რომ ამერიკისთვის საქართველო მოკავშირე კი არა, ერთი რიგითი, უმნიშვნელო კოლონიაა, რომელსაც ხან რუსეთის საბჭუნად და მერე კრემლის სალანძღავად გამოიყენებს, ხანაც ახლო აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყანაში სიკვდილის ესკადრონების გასაგზავნად და ვითომ ტერორისტების წინააღმდეგ საბრძოლველად... ამდენად, ბატონებო, მოცემულობა მარტივია, – ქართველი ხალხი ან უბრალოდ იტყვის ამერიკის მარიონეტობაზე და არაფრისმომცემ „მეგობრობაზე“, რომელიც დღეს კოსმოსური სიჩქარით მიგვაქანებს უფსკრულისაკენ“... („კვირის ქრონიკა“, 22-29 დეკემბერი, 2014).

#### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **გელა ზედელაშვილი:** „ეს კაცი [ფილიპ დიმიტროვი] ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია საქართველოში და თავს უფლებას აძლევს ბრძნული გამომეტყველებით გვწყემსოს. არა, გეი ქორწინებას არავინ გთხოვთ, მაგრამ ამას მაინც ვერ ასცდებით, უნდა გააცნობიეროთ, რომ ჰომოსექსუალიზმი დანაშაული არ არის, „პედერასტიზმი“ მაინც უნდა აღიაროთ“ („ალია“, 11 მარტი, 2014).
- **გიორგი ჭიქიაშვილი:** „დიახ, თუკი ამერიკამ საბოლოოდ განიზრახა, რომ მესაჯდომეები დედამიწის ნებისმიერ წერტილში განსაკუთრებული პრივილეგიებით უნდა სარგებლობდნენ, ამ განზრახვას აისრულებს კიდევ. საქართველო კი, დარწმუნებული ვარ, ერთ-ერთი უპირველესი იქნება მათ სამიზნეებს შორის (როგორც საცდელ ლაბორატორიას მაქსიმალურად გამოგვიყენებენ სხვადასხვა ექსპერიმენტებისათვის)“ („კვირის ქრონიკა“, 7-13 ივლისი, 2014).

#### რეგიონული ენების ქარტია = საფრთხეს

- **გიორგი ჭიქიაშვილი:** „ეს [რეგიონალური ენების ქარტია] არის პროვოკაცია საქართველოსა და ქართველი ხალხის წინააღმდეგ, ეს არის ევროპარლამენტში მოკალათებული ოკულტისტების, ანტიქრისტიანებისა და მათი ქართველი მოკავშირეების, „ნაციონალური სექტის“ ერთობლივი გეგმა. ეს გეგმა საქართველოს გადაგვარებას ისახავს მიზნად, ეს გეგმა ქართველობის გადაშენებას ემსახურება“ („კვირის ქრონიკა“, 6-12 ოქტომბერი, 2014).

#### ასოცირების ხელშეკრულება პრობლემებს უქმნის საქართველოს

- **გელა ზედელაშვილი:** „გამოდის ამ ხელშეკრულებაზე [ასოცირების] ჩვენ ხელი მხოლოდ იმიტომ მოვაწერეთ, რომ ისედაც დამძიმებული ცხოვრება უფრო დავიმძიმოთ... მაღე დანა-ჩანგალსაც კი დავგითვლიან, რათა ჰქონდეთ რეალური მონაცემები. სადაც ქათმისა და ინდაურის კურტუმოებს გვითვლიან, უახლოეს ხანში ხელებსა და ფეხებზე თითებსაც დავგითვლიან. ეს ვალდებულებაა, ხალხო, აბა, როგორ გინდათ?!“ („კვირის ქრონიკა“, 24-30 ნოემბერი, 2014).

#### უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია

- **გელა ზედელაშვილი:** „...უკრაინაში საქმე ზუსტად ისე მიდის, როგორც ამერიკელებს უნდოდათ. მათ შუაგულ ევროპაში ძალიან იოლად „დაამყარეს“ ქაოსი და განუკითხაობა“ („კვირის ქრონიკა“, 19-25 მაისი, 2014).
- **ნინო სამხარაძე:** „ერთია, რომ დასავლეთმა, პოროშენკოს თავზე სიკვდილი შემოდო, მიხეილ სააკაშვილის სახით... თუკი პოროშენკო დასავლეთს იმედებს გაუცრუებს, არც მისი ლიკვიდაცია გაჭირდება და ამ დროისათვის სააკაშვილს მოამზადებენ უკრაინის პრეზიდენტობისთვის“ (16-22 თებერვალი, 2015).

### დასავლეთი გადატრიალებების ინსპირატორი

- **ნინო სამხარაძე:** „აქ [საქართველოში] ამუშავდება მაიდნის სცენარი და რუსეთს დასავლეთი ახალ თავის ტკივილს გაუჩენს კავკასიაში ყველაზე რადიკალური ანტირუსული ძალების ჩანაცვლების გზით“ („ალია“, 12 თებერვალი, 2015).

### დასავლეთის დაკავშირება ნაციონალურ მოძრაობასთან

- **გიორგი ჯიქიაშვილი:** „საით მიდის საქართველო, იმ ევროპისკენ, რომელიც თითოეული ქართველის მოსისხლე მტერსა და ქვეყნის დამაქცევარ სააკაშვილს კბილებით იცავს?!“ („კვირის ქრონიკა“, 22-29 დეკემბერი, 2014).

### არასამთავრობოები – უცხოეთის დაქირავებული აგენტები

- **გიორგი ჯიქიაშვილი:** „ეს მეხუთე კოლონა ოკეანის გაღმა გამოზრდილ „განათლებამიღებული“ და ეროვნული ფასეულობებისაგან გამოშინებული ტინჯიკა გოგო-ბიჭები არიან, რომლებიც პირდაპირ ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მითითებითა და ინსტრუქციებით მოქმედებენ“ („კვირის ქრონიკა“, 15-21 დეკემბერი, 2014).
- **ხათუნა ელბაქიძე:** „ხელისუფლება არ აკონტროლებს დასავლეთიდან შემომავალი უზარმაზარი ფულის მასას, რომლითაც ის არასამთავრობოები ფინანსდებიან, რომლებიც შემდგომში ეკლესიის წინააღმდეგ ბრძოლით გამოირჩევიან და... ებრძვიან ეროვნულ ფასეულობებს, ლობივებენ სხვადასხვა სექტანტურ დაჯგუფებებს, ღია თუ ფარულ პროპაგანდას უწევენ მრავალ უზნეობას, ცდილობენ, შელახონ ტრადიციული ქართული ოჯახი და ოჯახური ღირებულებები“ („კვირის ქრონიკა“, 16-22 ივნისი, 2014).

### ანტისოროსი

- **გიორგი ჯიქიაშვილი:** „სოროსი და მისი სოროსირები სწორედ იმ ანტიქართული იდეოლოგიის ადამიანთა ნუსხაში არიან. მეტიც, ეს შავ-ბნელი კასტა არის უპრეცედენტო ბოროტება, გაუგონარი, წარმოდგენელი განსაცდელი, რომლის მსგავსიც მრავალჭირნახულ საქართველოს აქამდე არ ჰქონია...“ („კვირის ქრონიკა“, 10-16 ნოემბერი, 2014).

## ონდინი პილია

### საქინფორმი

ანტიამერიკული განწყობები (17) ყველაზე მძაფრად სწორედ ინტერნეტ-პორტალ „საქინფორმზე“ იყო წარმოდგენილი, რომელიც სარედაქციო შეფასებების გარდა, როგორც ჩვენ „ქართულ მედიაში რუსული პროპაგანდის“ თავში ვნახეთ, ხშირად ეყრდნობოდა ღია რუსულ წყაროებს და თავადაც გვევლინებოდა დემინფორმაციის წყაროდ. უკრაინის მოვლენების ინსპირატორად აქაც დასავლეთი იყო წარმოდგენილი (11), იმის საილუსტრაციოდ, რომ უკრაინასა და საქართველოში განვითარებული მოვლენები არც უკრაინელი და არც ქართველი ხალხის არჩევანი არ იყო, ხშირად კეთდებოდა დაუსაბუთებელი მითითება პოლიტიკური ლიდერების „უცხო“ იდენტობაზე [ეთნიკური,



რელიგიური]. დასავლეთის ჰომოსექსუალობის თავსმომხვევად (9) და მართლმადიდებლობასთან მებრძოლად (6) წარმოიჩინა აღნიშნულ პლატფორმაზეც ხდებოდა. „საქინფორმი“ პერმანენტულად ახდენდა ევროატლანტიკური ინტეგრაციის საფრთხეებთან, მათ შორის ტერიტორიების დაკარგვასა და თურქეთის ექსპანსიასთან გაიგივებას (5), ასევე რეგიონული ენების ქართისა (4) და რიჩარდ ლუგარის ლაბორატორიის (2) ხიფათებთან ასოცირებას (იხ. გვ. 18). ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ეკონომიკის განადგურებად და რუსეთის ბაზრის დაკარგვის პერსპექტივად იყო დასახული (6). არასამთავრობოებისა (2) და ჯორჯ სოროსის მიმართ (2) გამოთქმული და სხვა ტრადიციული შეფასებების (17) გარდა, „საქინფორმში“ ვხვდებით გზავნილს, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს, თუ რამდენად არის ნატო და ევროკავშირი ქართველი ხალხის არჩევანი (1).

### ამერიკა გადატრიალებების და ძალადობის ინსპირატორი

- **სათაური:** „კავკასიური გაზაფხული“ – საქართველოში, სომხეთსა და უკრაინაში სახელმწიფო გადატრიალებების შემკვეთი არის აშშ“ (29 იანვარი, 2015).
- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „მე პირდაპირ ვაცხადებ, რაც მოხდა იქ [შარლი ებდოს ტერაქტი პარიზში], ეს არის ამერიკის სპეცსამსახურების გაკეთებული... ოლანდმა გააკეთა განცხადება, რომ, აი, ამ სანქციებმა რუსეთის წინააღმდეგ უკვე ამრი დაკარგა, საფრანგეთი და საერთოდ დასავლეთი განიცდის ცივილიზაციურ კატასტროფას, არა მარტო ეკონომიკურს, და საპასუხოდ ამერიკამ დასაჯა“ (11 იანვარი, 2015).

### უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია

- „საქინფორმი ხაზს უსვამს, რომ ახლანდელი სახელმწიფო გადატრიალება უკრაინაში იმავე დასავლელმა სცენარისტებმა ჩაიფიქრეს, რომლებმაც 2008 წლის ომი საქართველოში. ორივე შემთხვევაში მათი მიზანი იყო, რუსეთი გაჭიანურებულ საომარ კონფლიქტებში ჩაეთრიათ“ (26 თებერვალი, 2014).
- „ორივე შემთხვევაში პროვოკაციების უშუალო შემსრულებლებად დასავლეთმა შეარჩია მოთავეები, რომელთაგან ერთიც არ იყო ქართველი ან უკრაინელი: სააკაშვილი – სააკიანი, შს ექსმინისტრი მერაბიშვილი – სეხნიევი, როგორც ბევრი სხვა, მაგალითად, ეთნიკური სომხები არიან, როგორც ტიმოშენკო – გრიგიანი და უკრაინის ახალი შს მინისტრი ავაქოვი – ავაქიანი, ხოლო კლიჩკო და იაცენკო, რა პარადოქსულიც უნდა იყოს, ეთნიკური ებრაელები არიან“ (26 თებერვალი, 2014).

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- „ფოტოებზე წარმოდგენილი არიან გაურკვეველი სქესის ადამიანები. სავარაუდოდ, ამ ნატოელი ვალკირიების ნაწილი – ქალის ფორმაში გადაცმული მამაკაცია. ამ გზით ხორციელდება გარყვნილების პოპულარიზაცია და სამოგალოებისთვის ამგვარი გადაწყვეტილების ადექვატურობის თავსმომხვევა“ (13 ნოემბერი, 2014).
- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „ჰომოსექსუალური ევროპა კი, ისევე როგორც გასული საუკუნის 40-იან წლებში, ისევე უკანალს აათამაშებს – ოლონდაც ფაშისტებმა რუსეთს ავნონ!“ (24 თებერვალი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

- „სწორედ მართლმადიდებლობა, რომელიც, ბილდტის აზრით, ისლამურ ფუნდამენტალიზმზე სახიფათოა, წარ-

მოადგენს მთავარ საფრთხეს დასავლური ცივილიზაციისთვის, რადგან ცდილობს ოჯახური ურთიერთობების რეგლამენტირებას და არ წაახალისებს გეებსა და ტრანსგენდერებს“ (28 აპრილი, 2014).

### ასოცირების ხელშეკრულება აკაბალებს საქართველოს

- „ევროკავშირში შესვლა იწვევს წარმოებების დახურვას, საქონლის ამოხოცვას, ბალ-ვენახების გაჩეხვას – ევროკავშირი თავის ახალ წევრებს გასაღების ბაზრებად აქცევს, ამცირებს რა იქ მრეწველობას და სოფლის მეურნეობას!“ (4 აპრილი, 2014).
- „მაშ ასე, 27 ივნისს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდგომ საქართველო პირველ „ევროსიკეთებს“ მიიღებს: ქართული ღვინის, მინერალური წყლების და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ექსპორტი რუსეთში შესაძლოა შეწყდეს, რაც საბოლოოდ დაღუპავს საქართველოს ეკონომიკას“ (30 ივნისი, 2014).
- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „საქართველო დაცარიელდება, როგორც ლატვია, ლიტვა და ესტონეთი, ევროპაში საშოვარზე აღმოჩნდება უქონელი საქართველოს მუშახელი, აქ კი მხოლოდ ჩინელები და ირანელები დარჩებიან, სამცხე-ჯავახეთში – სომხები, ხოლო ქვემო ქართლში ამერბაიჯანელები განსახლდებიან“ (26 მაისი, 2014).

### ევროატლანტიკური ინტეგრაცია = საფრთხეებს

- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „საქართველოს დაუძახებენ სატრანზიტო ტერიტორიას გამსაღწეებით, რკინიგზებითა და საავტომობილო მაგისტრალებით, აშშ-ის სამხედრო ბაზითა და საერთაშორისო ტერორისტების მოსამზადებელი ნატოს ბანაკით“ (5 იანვარი, 2015).
- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „ეს რკინიგზა [ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო] თურქებით დაკომპლექტებული ნატოს ბაზის უზურნველყოფას მოახდენს სომხებით დასახლებულ ახალქალაქში“ (20 ოქტომბერი, 2014).
- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „რაც შეეხება აჭარას, მას თურქული მოსახლეობა წალეკავს და თავად ეს რეგიონიც იმ პერიოდისთვის უკვე თურქეთთან გადაიჩინდება!“ (26 მაისი, 2014).

### რეგიონული ენების ქარტია = საფრთხეს

- „ევროკავშირთან საქართველოს ასოციაციის შეთანხმების ხელმოწერით, ჩვენ, ევროქართველები, არა მარტო საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, არამედ შესაძლოა სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო, აჭარა და ქვემო ქართლიც დავკარგოთ... [რეგიონული ენების ევროპული ქარტიის რატიფიცირებიდან] ერთი ნაბიჯია სამეგრელოს, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ავტონომიებად გამოცხადებამდე“ (23 დეკემბერი, 2014).

### არასამთავრობოები – უცხოეთის დაქირავებული აგენტები

- „ღარიბაშვილი მართალია – კამპანია „ეს შენ გეხება. ჩვენ ისევ გვისმენენ!“, ვითომდა – უკანონო თვალთვალის წინააღმდეგ, ძირგამომთხრელი და ანტისახელმწიფოებრივია, მას დიდი ფულის სანაცვლოდ ატარებენ დასავლეთის დაქირავებულები“ (12 მაისი, 2014).

### ანტისოროსი

- „ანტიქრისტე ქრისტეს მაგიერს – მის შემცვლელს ნიშნავს. ყველაფერს ქრისტესმიერს ანტიქრისტესეული უნდა ჩაენაცვლოს. „შავი“ უნდა გახდეს „თეთრი“, „ბოროტება“ – „სიკეთე“, „ქალი-კაცად“ და პირიქით!.. P.S. ხვალ საქართველოში ჯორჯ სოროსი ჩამოდის...“ (14 ნოემბერი, 2014).

### ნატო და ევროკავშირი არ არის ქართველი ხალხის არჩევანი

- **არნო ხიდირბეგიშვილი:** „ფაქტია – ხალხი ვერა და ვერ იხსენებს, როდის გააკეთა მან არჩევანი ნატო-სა და ევროკავშირის სასარგებლოდ...“ (24-30 ნოემბერი, 2014).

### GEWORLD.GE

ღიად გამოხატავდა სიმპათიას რუსული მოდელის მიმართ, რომელიც როგორც მართლმადიდებელი ქვეყანა „გარყვნილ“ დასავლეთს უპირისპირდება და კანონმდებლობით აქვს აკრძალული ჰომოსექსუალობა (13), დასავლეთისგან განსხვავებით შესწევს ძალა დაგვიცვას ისლამური ტერორიზმის საფრთხისგან (2). აღნიშნულ პორტალზე ასევე დომინირებდა შემდეგი მოსაზრებები: რომ საქართველო გარე ძალების მიერ იმართება (11), დასავლეთი ძალადობისა და სახელმწიფო გადატრიალებების წყაროა (11), უკრაინაში განვითარებულ მოვლენებში დასავლეთის წვლილია (10), დასავლეთის ღირებულებები ქართველებისთვის მიუღებელია (5), დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას (4) და ოჯახურ ტრადიციებს (2), ევროატლანტიკური ინტეგრაცია საფრთხეების ტოლფასია (4), ასოცირების ხელშეკრულება აკაბალებს საქართველოს (3), დასავლეთი დაკავშირებულია ნაციონალურ მოძრაობასთან (2), ხოლო არასამთავრობოები უცხოეთის მართული აგენტები არიან (2) და სხვა (3) ინტერპრეტაციები.

ცალკეული მაგალითები:

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **დავით მხეიძე:** „ერთი მხრივ, უზნეობის, გარყვნილების მორევში ჩაძირული დასავლეთია, რომელიც დაუფარავად ცდილობს საკუთარი, ახალი „ღირებულებების“ მსოფლიოსთვის თავს მოხვევას, ერთი სიტყვით, მთელი სამყაროს სოლომიზაციას, და მეორე მხრივ, მართლმადიდებელი რუსეთი; მკითხველს შევასხენებ, რომ რუსეთია ევროპა-აზიის სივრცეში ერთადერთი სახელმწიფო, რომელმაც საკანონმდებლო დონეზე 100 წლით აკრძალა ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდა“ (19 მარტი, 2014).
- **ქეთი ხომერიკი, ჟურნალისტი:** „ეთანხმებით გავრცელებულ აზრს, რომ აშშ მანკიერების, გეებისა და ათასი ბიწიერების ქვეყანაა?“ (6 მარტი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

- **იზა თამაზაშვილი:** „ევროპის მორალი, რომლისკენაც ხელისუფლება მიისწრაფვის, ასეთია: დავისჯებით, თუ ტრადიციული მართლმადიდებლობის დაცვას შევეცდებით და ქრისტეს გზით ვივლით; თუ ვეცდებით, შევინარჩუნოთ ეროვნული ტრადიციები და ქართველობა“ (30 ოქტომბერი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის ოჯახურ ტრადიციებს

- **არმამ სანელიძე, ჟურნალისტი:** „გენდერული ინკვიზიციის ახალი დოკუმენტი მომზადებულია ევროპარლამენტის ქალთა უფლებებისა და გენდერული თანასწორობის კომიტეტის მიერ. საბავშვო წიგნებში ტრადიციული ოჯახის პოპულარიზაციის აკრძალვის გარდა, ევროპელი ფემინისტები მოითხოვენ ევროკავშირის კანონმდებლობის შეცვლას ქალის სახის კორექტირების მიზნით“ (9 ოქტომბერი, 2014).

### უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია

- „აშშ-ისა და ევროკავშირის მიერ წაქეზებულმა უკრაინელმა ნაციონალისტებმა, რომლებმაც ამა წლის თებერვალში უკრაინის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი დაამხეს, შემდეგ კი იმავე აშშ-ისა და ევროკავშირის წაქეზებით ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთში საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ უცხოელი დაქირავებულების დახმარებით სადამსჯელო ოპერაცია (ოფიციალურად – „ანტიტერორისტული ოპერაცია“) წამოიწყეს, სისასტიკით გადააჭარბეს თავიანთ წინამორბედ ფაშისტ წინაპრებს“ (7 აგვისტო, 2014). (მასალას ერთვის ფოტოილისტრაციები სისხლიანი გვამებით, რომელთაგან 2 ფოტო Комсомольская Правда-ს ეკუთვნის).
- **დავით მხეიძე:** „ფაქტობრივად, უკრაინაში მოხდა ხელისუფლების ძალადობრივი დამხობა ებრაულ-სომხური და ბაპტისტურ-კათოლიკური დაჯგუფების მიერ, რომელმაც ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ერთი სომეხი ტუსაღი გაათავისუფლა, მეორე სომეხი პედერასტი კი უმთავრეს ძალოვან მინისტრად დანიშნა“ (26 თებერვალი, 2014).

### საქართველო გარე ძალების მიერ იმართება

- **თამარ დავითულიანი:** „ამერიკელ „მრჩეველთა“ კონტინგენტი იზრდება და ქვეყნის უმნიშვნელოვანეს სტრუქტურებში გადაწყვეტილებები მხოლოდ მათი მითითებით მიიღება... აქამდეც ხომ ასე იყო: საზოგადოებამ არაფერი იცოდა იმის თაობაზე, რომ მიტინგებისა და აქციების დასარბევად ადგილობრივ ზონდერებს სწორედ ასეთი „მრჩეველები“ აძლევდნენ „რჩევებს“, ხოლო 26 მაისის აქციის სადამსჯელო ოპერაცია, რომელსაც მსხვერპლი და უამრავი დასახიჩრებული მოჰყვა, სწორედ ამ „მრჩეველებმა“ „გაუპრავეს“ სააკაშვილს!“ (11 თებერვალი, 2015).

### ამერიკა გადატრიალებების/ძალადობის ინსპირატორი

- **გიორგი გაჩეჩილაძე:** „მაიდნისკენ გვიბიძგებენ. მაიდნისკენ, რომლის სცენარის ავტორები აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოში, სახელმწიფო დეპარტამენტსა და, საზოგადოდ, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში არიან მოკალათებულნი“ (10 სექტემბერი, 2014).
- **დავით მხეიძე, ჟურნალისტი:** „ეს ის „ჰუმანისტი“ იანკები არიან, რომლებმაც დედაბუდიანად ამოწყვიტეს ინდიელები; ეს იმ რასისტების ამერიკაა, რომელშიც მილიონობით ბიძია თომას სულს ხდიდნენ მონურ შრომაში, ხოლო იმ თომების შთამომავლებს გასული საუკუნის 60-იან წლებამდე კუ-კლუქს-კლანი ცოცხლად წვავდა... ეს ის „დემოკრატები“ არიან, რომლებიც „ნაციონალურ ინტერესებს“ თავიანთი ქვეყნიდან ათასობით მილს იქეთ იცავენ – უმოწყალოდ დაბომბეს მართლმადიდებელი(!) სერბეთი... ეს ის ამერიკელები არიან, რომლებიც სიტყვით ტერორიზმს ებრძვიან, სინამდვილეში კი რადიკალ-ისლამისტებს ხელსაყრელ და აფინანსებენ

კიდევ, თუ მათი ქმედება რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ (მაგალითად, სირიაში) არის მიმართული“ (5 მარტი, 2014).

### ნატო = საფრთხეებს = თურქეთის ექსპანსიას = ტერიტორიების დაკარგვას

- **იაკობ ლეჟავა:** „ხვალ, ანუ ნატოში შესვლის შემდეგ, თურქების გავლენა საქართველოში (სამხედრო ძალის შემოსვლაც, ნატოს ეგიდით) უდავოდ მოიმატებს.. ადვილი მისახვედრია, რა მოგველის ახლო მომავალში ნატოს წყალობით – 10 წელიწადში ასე დაგვაჯდნენ თავზე „ნაცების“ შემოყვანილი თურქები და ნატოს სახელით შემოჯლიგინებულები ხომ სულ გაგვათურქებენ – დიდი ალბათობით, ორი-სამი თაობის შემდეგ ენასაც დაკარგავთ, რწმენასაც და მამულსაც!“ (18 აპრილი, 2014).

### ასოცირების ხელშეკრულება პრობლემებს უქმნის საქართველოს

- **ჯაბა შვანია:** „...27 ივნისს „ქოცების“ მთავრობამ ისტორიული ბლეფი დააგვირგვინა – ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომლითაც საქართველომ თავი გაჰყო სერიოზულ შარში. ერთი სიტყვით, მედასავლეთე ლიბერალებმა უზენაესი ამოცანა პირნათლად შეასრულეს – ქვეყანა მოწყვიტეს ისტორიულ ფესვებს და ვირტუალურ „ევრომირაჟში“ გადატყორცნეს“ (12 ნოემბერი, 2014).

### დასავლეთი ვერ დაგვიცავს საფრთხისგან

- **დავით მხეიძე:** „ჰოდა, იქნებ ახლა მაინც გაგრილდნენ ნატოს „ახალი ლიგითა“ და „ოქროს ბარათებით“ გაცხელებული თავები?... ერაყიდან ისლამისტების აგრესიის შემთხვევაში ისევ რუსეთი თუ დაგვიცავს, თუნდაც იმიტომ, რომ თავისი ტერიტორიის – ჩრდილოეთ კავკასიის დაცვა მოუწევს“ (10 სექტემბერი, 2014).
- **ჯაბა შვანია:** „ვინ დაიცავს საქართველოს უსაფრთხოებას: ის ევროპა, რომელიც სიტყვის თავისუფლების სახელით შეურაცხყოფს ნახევარ მსოფლიოს (მუსლიმანებს, ქრისტიანებს, სამოგადოდ – რელიგიას), ახორციელებს კულტურულ-იდეოლოგიურ ექსტრემიზმს და მერე ამის საპასუხოდ ისლამისტების ტერორისტული აქტებისგან საკუთარ მოქალაქეებს ვერ იცავს?!“ (14 იანვარი, 2015).

### არასამთავრობოები – უცხოეთის ინტერესების გამტარებლები

- **იაკობ ლეჟავა:** „იქნებ ვინმემ დაასახელოს ერთადერთი წარმატება მაინც, რომელსაც საქართველომ დასავლეთის დახმარებით მიაღწია (დასავლეთიდან დაფინანსებული ე. წ. არასამთავრობოების სოკოებივით მომრავლებას თუ არ ჩავთვლით წარმატებად და კიდევ – ამ ორგანიზაციების მიერ გაჩაღებულ კამპანიას მართლმადიდებლობის დისკრედიტაციისა და სოდომ-გომორის ცოდვის(!) ნორმად დაკანონებისკენ)“ (20 თებერვალი, 2014).

### ანტისოროსი

- **დავით მინდიაშვილი:** „ეს პატივცემული გვამი ისევ აპირებს ჩამოსვლას საქართველოში... იცინა ისიც, რომ ეს კაცი [ჯორჯ სოროსი] ეროვნულ ფასეულობებს ებრძვის... არ მალავს, რომ მზად არის, ლიბერალური მოძრაობები დააფინანსოს, ორიენტაციადაკარგულ ადამიანებს დახმარების ხელი გაუწოდოს და ასე წაიყვანოს ევროპისკენ“ (26 თებერვალი, 2014).

## საინფორმაციო სააგენტოები „რეპორტიორი“ და „პირველი“

ორივე სააგენტოს ანტიდასავლური შინაარსის მასალები რუსული წყაროებიდან აქვთ გადმობეჭდილი.

### უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია

- **Риа Новости, Der Freitag:** „უკრაინა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის სანიმუშო პროექტია, რომელიც ჩვენი, დასავლური ფასეულობების ილუსტრირებას წარმოადგენს: ნახეთ, როგორ მოქმედებს პრეზიდენტი-ოლიგარქი, რომელმაც რეგულარული არმია და მოფაშისტო მაროდიორთა ბატალიონები საკუთარ მოსახლეობას მიუსია; პრემიერ-მინისტრი, რომელიც ამერიკაზე მუშაობს და ბოქსიორი, რომელიც კიევის მერი გახდა“ (რეპორტიორი, 17 თებერვალი, 2015).

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **Novinite.ru:** „ბულგარეთი და სხვა ქვეყნები, რომლებმაც ჯერ კიდევ არ მიიღეს გეი-ქორწინება, წახალისდებიან სხვა ქვეყნების მხრიდან, რომლებსაც კარგი პრაქტიკა აქვთ ერთსქესიანთა ქორწინების კუთხით. იმ შემთხვევაში, თუ დირექტივას მიიღებენ და მოიწონებენ, გეი წყვილებს, რომლებიც ევროკავშირის ქვეყნებში დაქორწინდნენ, ევროკავშირის ნებისმიერი ქვეყნიდან ბავშვების აყვანის შესაძლებლობას მიიღებენ, მათ შორის ბულგარეთიდანაც“ (პირველი, 12 მარტი, 2014).

## 5.2. პოლიტიკური პარტიები

### ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატები

ბურჯანაძე-გაერთიანებული დემოკრატების მთავარი ნარატივი გარე ძალების მიერ მართულ საქართველოს (10), ჰომოსექსუალობის, ინცესტის ლეგალიზების თემას (9), ნაციონალური მოძრაობის დასავლეთთან ასოცირებას (8), ასოცირების ხელშეკრულების კაბალურ პირობებს (5), ევროინტეგრაციის საფრთხეებად, ტერიტორიული მთლიანობის დაკარგვის პერსპექტივად (3), რეგიონული ენების ქართის საფრთხედ (1) წარმოჩენას, მართლმადიდებლობასთან მებრძოლ დასავლეთს (3) და სხვა (7) საკითხებს უკავშირდებოდა.

### საქართველო გარე ძალების მიერ იმართება

- **თემურ შაშიაშვილი:** „ნაციონალებიც“ და „ქართული ოცნებაც“ ერთი ცენტრიდან, დასავლეთში არსებული სექტანტური ჯგუფებიდან იმართებიან...“ (Geworld.ge, 24 სექტემბერი, 2014).
- **ნინო ბურჯანაძე:** „დასავლეთთან კარგი მეზობლური ურთიერთობა უნდა გვექნოდეს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისევე ვიმართებოდეთ დღეს ვაშინგტონიდან, როგორც საბჭოთა კავშირის დროს, მოსკოვიდან ვიმართებოდით“ (პირველი, 26 ნოემბერი, 2014).
- **თემურ შაშიაშვილი:** „26 მაისს სააკაშვილის ხელისუფლებას მიტინგის დარბევის პირდაპირი სანქცია აშშ-ის მაშინდელმა ელჩმა ჯონ ბასმა მისცა!.. დიახ, ამერიკელებმა საქართველოში ხელისუფლებას 26 მაისს სრული

კარტლანში მისცეს – მიდით, საკუთარ ხალხს გადაუარეთ, ესროლეთ და მოკალითო!“ (ასავალ-დასავალი, 26 მაისი – 1 ივნისი, 2014).

#### **დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას**

- **დიმიტრი ლორთქიფანიძე:** „სქესობრივი ნიშნით დისკრიმინაციის საკითხი არის პირდაპირი პროპაგანდა, დაკანონება, რაც ძალიან დიდ საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ ზნეობრივ ინტერესებს“. „ჩვენ ხარკს ვიხდით ევროპის წინაშე, თუ ეშმაკს უკმევთ ხარკს, გამაგებინეთ“ (მაესტრო, სუბიექტური ამრი, 28 აპრილი, 2014).
- **ჯონდი ბალათურია:** „და ჩვენ ამ გადანაწილებაში მაინცდამაინც უნდა ჩაგვყლაპოს ვინმემ? ან წითელმა რუსეთმა ან რა ჰქვია გეების ევროპამ? გეებზე ორიენტირებულმა ევროკავშირმა?“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 31 ივლისი, 2014).
- **გურამ ფალავანდიშვილი:** „ჩამონათვალში „სექსუალური ორიენტაციის“ ხსენება იმას ნიშნავს, რომ ევროკავშირი ჩვენ გვთხოვს მამათმავლობის ბუნებრივ ნორმად აღიარებას“ („ასავალ-დასავალი“, 7-13 აპრილი).

#### **დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას**

- **თემურ შაშიაშვილი:** „მსოფლიოში ეროვნული სახელმწიფოები აღარ აწყობთ... დიახ, საიდანაც მსოფლიო ცივილიზაცია იწყებოდა და სადაც მართლმადიდებლობაა, სწორედ ის კერებია აფეთქებული“ („ასავალ-დასავალი“, 3-9 ნოემბერი, 2014).

#### **ასოცირების ხელშეკრულება = ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განადგურებას**

- **დიმიტრი ლორთქიფანიძე:** „ის, რაზეც ჩვენმა ხელისუფლებამ ასე აღტკინებით მოაწერა ხელი [ასოცირების ხელშეკრულება], არის სახელმწიფო დანაშაული / დიახ, ეს ქართული სოფლისა და ეკონომიკის „ევროპულად“ განადგურებას ნიშნავს!“ („ასავალ-დასავალი“, 21-27 ივლისი, 2014).
- **ჯონდი ბალათურია:** „ხალხს ატყუებენ, ხელს მოვაწერთ ხელშეკრულებას და ევროპის ბაზარი საქართველოსთვის გაიხსნება... ეს მუხლი [სურსათის უვნებლობის] გულისხმობს იმას, რომ კახელი ბებოს მაწონი ან იმერელი ბებოს ყველი აღარ შეიძლება გაიყიდოს საქართველოს სავაჭრო ქსელებში... შესაბამისად თუკი ქართველი გლეხი პროდუქციას ვეღარ გაასაღებს ბაზარში, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავხდეთ თურქული რძის პროდუქტების გასაღების ბაზარი“ („ალია“, 23-26 მაისი, 2014).

#### **ნატო = ტერიტორიების დაკარგვას**

- **ნინო ბურჯანაძე:** „ხალხმა უნდა გადაწყვიტოს – ვამბობთ თუ არა ჩვენ ილუმორული ნატოს წევრობის საფასურად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემების მოგვარების შანსზე უარს“ („რეზონანსი“, „ალია“, 19 ნოემბერი, 2014).

#### **რეგიონული ენების ქართია = ტერიტორიების დაკარგვას**

- **ჯონდი ბალათურია:** „სავსებით დარწმუნებლი ვარ, რომ ევროსაბჭოსა და დასავლეთის ასეთი ინიციატივები

[რეგიონული ენებს ქართის რატიფიცირება] მიმართულია ქვეყნის დაშლისაკენ... მიმაჩნია, რომ ეს კანონი არის მოლაღატებრივი. რა ხდება უკრაინაში? რეგიონალური ნიშნით მიმდინარეობს დისკუსია და მიდის დაშლის პროცესი“ („ალია“, 7 ოქტომბერი, 2014).

### არასამთავრობოები – უცხოეთის ინტერესების გამტარებლები

- **თემურ შაშიაშვილი:** „მრავალი ახალგაზრდული ორგანიზაცია ვიცი ათეულ მილიონიანი, გარედან შემოსული დოტაციით საზრდოობს და სანაცვლოდ, ეროვნულ იდეოლოგიას ებრძვის“ („ასავალ-დასავალი“, 26 დეკემბერი – 1 თებერვალი, 2015).

### ანტისოროსი

- **თემურ შაშიაშვილი:** „1993 წლიდან ნელ-ნელა იზრდებოდა მასონების, „თავისუფლების ინსტიტუტის“ წარმომადგენლების და სოროსელების პროცენტული მაჩვენებელი საქართველოს ხელისუფლების შემადგენლობაში... 2014 წლის თვითმართველობის არჩვნებმა კი სოროსიზაცია უკვე ადგილობრივ დონეზე დააგვირგვინა. მისია შესრულებულია და ცხადია, ეს მივულოცე ბატონ ნორლანდს. დღეს გამარჯვებული არა რომელიმე პარტიაა, არამედ ცენტრი, საიდანაც იმართება ეს ორივე პოლიტიკური ძალა“ („ასავალ-დასავალი“, 23-29 ივნისი, 2014).

### სახალხო ძრება

ბურჯანაძე-გაერთიანებულ დემოკრატებთან დაკავშირებული ორგანიზაცია „სახალხო კრება“ იდენტურ გზავნილებს მიმართავდა: დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას (6), ებრძვის მართლმადიდებლობას (1), ამერიკა გადატრიალებების ინსპირატორია (5), უკრაინის მოვლენებიც დასავლეთის ორკესტრირებულია (3), ნაციონალური მოძრაობა – დასავლეთთან (5), არასამთავრობოები კი უცხოეთის სპეცსამსახურებთან არიან დაკავშირებული, რაც რეგულირებას საჭიროებს (4). დასავლეთის კორუმპირებულობასთან ერთად (2), საფრთხეებად იყო წარმოდგენილი ევროატლანტიკური ინტეგრაცია (1), რიჩარდ ლუგარის ლაბორატორია (1), ასოცირების ხელშეკრულება (1).

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „ღიას, ბატონო! ჩვენი პარლამენტი უკვე „ხელდამშვენებული“ შეხვდა გავეროპელებას, ანუ პედერასტობის ნორმად ქცევას!.. მე რამდენადაც ხელი მიმიწვდება ამ ხელშეკრულებაზე [ასოცირების], ერთ-ერთი დიდი პარაგრაფი ეთმობა „ლგბტ“ ინსტიტუტის საქართველოში დაფუძნებას“ („ასავალ-დასავალი“, 30 ივნისი-6 ივლისი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „ამერიკელმა იდეოლოგებმა გამოაცხადეს, რომ დაამარცხეს საბჭოთა კავშირი. ახლა დარჩათ მართლმადიდებლობა“ („ალია“, 11-14 ივლისი, 2014).



### **ევროინტეგრაცია = ტერიტორიების დაკარგვას**

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „ამ ხელშეკრულების ხელმოწერით მე სასიკეთოს ვერაფერს ვხედავ. პირიქით... ამერიიდან რუსეთის აგრესია გაძლიერდება. მალე დასავლეთი საქართველო ცალკე დარჩება და აღმოსავლეთი – ცალკე! საზღვარი გორში გაივლება. რუსეთს კი არ ვამტყუნებ?!“ („კვირის ქრონიკა“, 30 ივნისი-ნ ივლისი).

### **უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია**

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „და როგორც საქართველო დაშალეს ამერიკამ და ნატომ მიზანმიმართულად, უკრაინასაც იმას უკეთებენ!.. ჩვენ, ქართველები, ვერ გაგავარომაელეს, ვერ გაგვასპარსელეს, ვერც გაგვაბერძნეს, ვერც გაგვაარაბეს, ვერც გაგვათურქეს, ვერც გაგვარუსეს და დარწმუნებული ვარ ვერც გაგვაამერიკელ-გაგვაევროპელებენ!“ („ასავალ-დასავალი“, 14-20 აპრილი, 2014).

### **ამერიკა გადატრიალებების ინსპირატორი**

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „ესენი [ამერიკელები] გაიმეორებენ მაიდანს ბუსტად ისე, როგორც მოხდა უკრაინაში, როცა ზონდერებს გამოჰყავდათ კაბინეტიდან ჩინოვნიკები, ასხამდნენ ცივ წყალს, აწამებდნენ, სცემდნენ, როცა სნაიპერები ისხდნენ სახურავზე და ხოცავდნენ უდანაშაულო ადამიანებს. ეს ყველაფერი უკრაინაში „ცეერუ“-მ მოაწყო“ („კვირის ქრონიკა“, 27 ოქტომბერი-3 ნოემბერი, 2014).

### **ასოცირების ხელშეკრულება პრობლემებს უქმნის საქართველოს**

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „და რა უნდა ვიზეიმო, თუ სრულ ჭკუაზე ვარ?! ევროპაში ათი ბოთლი ღვინის გაყიდვა 10 მილიონი ბოთლის რუსულ ბაზარზე გაუყიდაობის სანაცვლოდ?“ („ასავალ-დასავალი“, 30 ივნისი-ნ ივლისი).

### **დასავლეთის დაკავშირება ნაციონალურ მოძრაობასთან**

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „არ გვინდა ევროპა, რომელიც მკვლელ სააკაშვილს ტაშით ხვდება“ (Geworld.ge, 24 დეკემბერი, 2014).
- **ლაშა ამირეჯიბი:** „ქალბატონმა ეშტონმა არ იცის, რას ნიშნავს „ნაციონალური ცოცხი ტრ...“-ში, მას ეს გამოეცადა და ეგრძნო ასე არ ილაპარაკებდა... ყველა სიბინძურე მოდის მაგათგან, რომ არა ევროპელები და ამერიკელები, „ნაციონალები“ ამდენს ვერ გაბედვენ“ („ალია“, 10 ივლისი, 2014).

### **კორუმპირებული დასავლეთი**

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „არანაირი სამართლიანობა ევროპასა და ამერიკაში არ არსებობს, ყველაფერს განსაზღვრავს ფული. დღეს რომ მიხეილ სააკაშვილს მხარს უჭერენ ევროპის სახალხო პარტიის წევრები, განა არ ვიცით, რომ ამ მხარდაჭერას კორუფცია უდევს საფუძვლად?“ („ასავალ-დასავალი“, 19-25 იანვარი, 2015).

### **არასამთავრობოები – უცხოეთის დაქირავებული აგენტები**

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „კოჟორიძე, გიგაური, ლომჯარია და სხვები უცხოეთიდან ფინანსდებიან, პირდაპირ ვამბობ, ისინი არიან აგენტები. როდესაც საზღვარგარეთიდან გიხდიან ფულს და შენი ქვეყნის წინააღმდეგ ნაბიჯს დგამ,

აგენტი ხარ... ქართველი ერის ვინაობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. თუ ამ საკითხს დროზე არ მოევლო, ცოტა ხანში საქართველოს არსებობა დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ“ (Geworld.ge, 25 ივნისი, 2014).

### დასავლეთმა ზვიად გამსახურდია გაიმეტა

- **ელიზბარ ჯაველიძე:** „როგორ უნდა მწამდეს მე იმ დასავლეთისა, რომელმაც ზვიად გამსახურდია ეროვნულობის გამო გაწირა სასიკვდილოდ. სააკაშვილს კი ქართველთა მოძულეობისა და მართლმადიდებლობის მტრობისთვის გახელეებული იცავს?!“ („ასავალ-დასავალი“, 11-17 აგვისტო, 2014).

### პატრიოტთა ალიანსი

პატრიოტთა ალიანსი, რომელსაც საკუთარი მედია პლატფორმა აქვს მედია-კავშირ „ობიექტივის“ სახით და თურქოფობიისა და ისლამოფობიის ერთ-ერთი მთავარი წყაროა, განსაკუთრებულ აქცენტს ჰომოსექსუალობის თავსმობვევაზე (6) და ევროატლანტიკური ინტეგრაციის შედეგად ტერიტორიების დაკარგვასა და თურქეთის ექსპანსიაზე აკეთებდა (6). საბერძნეთის მაგალითი დასავლური სამყაროს მართლმადიდებლობასთან ბრძოლის (2) საილუსტრაციოდ იყო მოყვანილი, რაც თითქოსდა პრორუსული განწყობების ზრდაზე აისახება. ამერიკის, როგორც მოძალადის წარმოჩენა (4) და ასოცირების ხელშეკრულების უპერსპექტივობასთან გაიგივება (4), რეგიონული ენების ქართისა და მესხების რეპატრიაციის საფრთხეებად დასახვა (2), გარე ძალების საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევა (1) და უკრაინის მოვლენების დასავლეთის ორკესტრირებულად (1) მოწოდება იყო სხვა (1) გზავნილები, რომელთაც აღნიშნული პარტია ავრცელებდა.

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **ვაჟა ოთარაშვილი:** „არ მინდა ევროპა, რომელიც სოდომ-გომორის ცოდვაში ჩამაგდებს. ქვა-ქვაზე ნუ დარჩენილა საქართველოში, თუ ის პედარასტების და ლესბოსელების ქვეყანა გახდება“ (Geworld.ge, 8 მაისი, 2014).
- **ირმა ინაშვილი:** „პირდაპირ გეტყვით – ესენი დასავლეთს „უწვებიან“! ... მე ბევრ სომეხს შევხვდი და ისინი შეურაცხყოფილნი არიან იმის გამო, რომ იმ ე.წ. „ანტიდისკრიმინაციულ კანონში“ „ეთნიკური უმცირესობების“ გვერდით წერია „სექსუალური უმცირესობა“ („ასავალ-დასავალი“, 2-8 ივნისი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

- **დავით თარხან-მოურავი:** „საბერძნეთი, ფაქტიურად, ევროპამ გაანადგურა... იქ მიდის ბერძნული კულტურის და საერთოდ ბერძნული აზროვნების წინააღმდეგ, მართლმადიდებლურ აზროვნებაზე მაქვს ლაპარაკი, საშინელი ბრძოლა...“.

**ბონდო მძინარაშვილი:** „ანუ ეს არის ბრძოლა მართლმადიდებლობასთან?“.

**დავით თარხან-მოურავი:** „და რა თქმა უნდა, ამას რომ გრძნობენ, გაიზარდა იქ პრორუსული განწყობები იმიტომ, რომ იქ რუსეთიც მართლმადიდებლური ქვეყანაა...“ (ობიექტივი, ლამის სტუდია, 21 მარტი, 2014).

### **ევროატლანტიკური ინტეგრაცია = თურქეთის შემოსვლას**

- **დავით თარხან-მოურავი:** „...ამ [ნატოს] სასწავლო ცენტრებში მწვრთნელები და მასწავლებლები, ძირითადად, არ იქნებიან ამერიკელები, ან ფრანგები, ან გერმანელები ანუ იქნებიან მაგრამ ძალიან ცოტა. ძირითადად ეს იქნებიან თურქები... ისევე, როგორც აქამდე, ძირითადად იყვნენ თურქები, რაც მე არასოდეს არ მომწონდა და არც ახლა მომწონს და ეს ფორმატი არც ესაა არ შეიცვლება. ასე, რომ სინამდვილეში ეს ოქროს ბარათი აი, ამის მეტს არაფერს არ ნიშნავს. ეს ერთი მხარეა, მაგრამ მეორე მხარეა, რომ ვის უნდა უშველოს და რას უნდა უშველოს ნატომ, ეს არის ჩემთვის გაუგებარი?“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 6 სექტემბერი).

### **ამერიკა ძალადობის ინსპირატორი**

- **დავით თარხან-მოურავი:** „ჩვენ უნდა დავინახოთ ერთი რამ, რომ ობამას ადმინისტრაცია, არსად არ ცდილობს რეალურად კონფლიქტების ჩაქრობას. მას განგძობადობაში გადაჭყავს ყველა კონფლიქტი. ეს იწვევს, რეალურად, კვლავ ბევრ ფულს და გამდიდრებას ამავედროულად. ის, რომ ადამიანები იღუპებიან, სახელმწიფოებში არეულობაა – ეს არავის არ აინტერესებს“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 17 თებერვალი, 2015).

### **უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია**

- **დავით თარხან მოურავი:** „უკრაინას რა გაუკეთეს [ობამას ადმინისტრაციამ]? ახლა მარტო იმიტომ, რომ კიევი დაიმორჩილეს და დააკარგვინეს ორი ნაწილი. ყირიმი ხომ დააკარგვინეს...“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 18 ნოემბერი, 2014).

### **ასოცირების ხელშეწყობა პრობლემებს უქმნის საქართველოს**

- **დავით თარხან მოურავი:** „თუ პოლიტიკურს, თუ ეკონომიკურს მოვაწერთ [ევროკავშირთან], ჩვენ თავს ვიგდებთ იმ მძიმე ვითარებაში, რა ვითარებაშიც თავის თავი ჩაიგდო საბერძნეთმა, კვიპროსმა, რუმინეთმა, ბულგარეთმა და აგერ პორტუგალიაც კი... და ჩვენ რას გავუძლებთ?“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 20 მაისი, 2014).

### **რეგიონული ენების ქართია/დებორტირებული მესხები = საფრთხეს**

- **დავით თარხან-მოურავი:** „ჩვენ უნდა მოვითხოვოთ რომ ჩაწერე [ასოცირების ხელშეკრულებაში] არავითარი რეგიონალური სტატუსი სომხურ ენას, აზერბაიჯანულ ენას... ჩვენ უნდა დავწეროთ, არავითარი თურქი მესხები, გარდა ქართველებისა. ვინც ეთნიკურად ქართველია, კი ბატონო, ვინც არა, ნახვამდის“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 26 მარტი, 2014).

### **საქართველო გარე ძალების მიერ იმართება**

- **ვაჟა ოთარაშვილი:** „თქვენ არ გეგონოთ, რომ იქ [პარლამენტში] ან პოზიცია არსებობს, ან ოპოზიცია. ეს არის უცხოეთიდან მართული ქართული პარლამენტი. პარლამენტი, რომელსაც დაუქნევენ თითს და აუწევენ რაღაცა დროშას, უნდა მიიღოს ანტიდისკრიმინაციული კანონი“ (ობიექტივი, ღამის სტუდია, 27 იანვარი, 2015).

## თავისუფალი საქართველო

პარტია „თავისუფალი საქართველო“ ძირითად აქცენტს დასავლეთის მიერ საქართველოს საშინაო საქმეებში ჩა-რევებზე (5) აკეთებდა, საუბარი იყო ასევე უკრაინის მოვლენების ამერიკის მიერ ორკესტრირებაზე (1).

ცალკეული მაგალითები:

### საქართველო გარე ძალების მიერ იმართება

- **კახა კუკავა:** „ადრე იყო საბჭოთა პერიოდში, თუ გინდოდა ცეკას პირველი მდივანობა, როგორ უნდა გაგეკეთებინა, უნდა ჩასულიყავი კრემლში და გეთქვა, ეს პირველი მდივანი არ არის მოსკოვის ერთგული. იგივე არის დღეს... რატომ იხდის ან ბიძინა ივანიშვილი ან მიშა სააკაშვილი ოც და ორმოც მილიონს, რატომ იხდის ამერიკელ ლობისტებში? იმიტომ, რომ მთავარია, ვაშინგტონი დაარწმუნო, თორემ კუკავა და ჟიჟილაშვილი და ამომრჩეველები რას ფიქრობენ ამ ქვეყანაში...“ (მაესტრო, მაესტროს ცხრიანი, 11 ნოემბერი, 2014).

### უკრაინის მოვლენები დასავლეთის ინსპირირებულია

- **ვასილ ჭიჭინაძე:** „ის, რაც უკრაინაში ხდება და ახლო აღმოსავლეთში, ამერიკის მიერ მართული პროცესებია, თორემ, ეს რომ ვაშინგტონის ინტერესებში არ იყოს, ერთ თვეში დამთავრდებოდა ყველაფერი“ (Geworld.ge, 15 ოქტომბერი, 2014).

## ქართული ოცნება

მმართველი პოლიტიკური პარტიის – ქართული ოცნების ცალკეული წარმომადგენლების ანტიდასავლური რიტორიკა უკრაინის მოვლენებში ამერიკის მონაწილეობას (1) (იხ. გვ. 15), თავსმოხვეულ ჰომოსექსუალობას (1), მოძალადე დასავლეთს (1), დასავლელი პოლიტიკოსების მიერ საქართველოს ხელისუფლების კრიტიკაზე საპასუხოდ მათ ნაციონალურ მოძრაობასთან ასოცირებას (1) უკავშირდებოდა.

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **გოგი თოფაძე:** „იმათ თავიანთი წესები ჰქონდათ... არის თემები, რომელიც უმეტესობას არ მოსწონს... ისეთი კანონების მიღებას აიძულებენ: მამაკაცების დაქორწინება, გენდერული ურთიერთობა, სქესობრივი, არ ვიცი, როგორ ვთქვა, დელიკატურად რომ გამოვიდეს; რომ მამაკაცები შეიძლება დაქორწინდნენ, რომ დაქორწინებულმა მამაკაცებმა იშვილონ ბავშვი და გამოდის, რომ ის ბავშვიც უნდა გაიზარდოს საკმაოდ გაუგებარ სიტუაციაში... ევროპა დღეს ასეთ მოთხოვნებს აყენებს ჩვენთანაც, არა ეგეთ კატეგორიულს. ჩვენ გარკვეული ცვლილებები შევიტანეთ შემოთავაზებულ ვარიანტში და ცოტა დარბილდა, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ ეს საქართველოში, კავკასიაში მცხოვრებლებისთვის მაინცდამაინც მისაღები არ იქნება“ (ნეტგაზეთი, 15 მაისი, 2014).

### მოძალადე დასავლეთი

- **ნუკრი ქანთარია:** „ლონდონში ინგლისელების ნაკლებობაა უკვე და მიღევადში გადავიდნენ, ილევან ნელ-ნელა და ახლა უკვე მაქსიმალურად ცდილობენ, იმიტომ, რომ გაივსო იქ ჩამოსულებით. ძირითადად, აფრო-

ამერიკელებით, არაბული ქვეყნებიდან, თურქეთიდან და სხვა ხალხით. ადგილობრივები უმცირესობაში გადადიან და პანიკა ეწყებათ. ეს მარტო ბრიტანეთში არ ხდება... რადიკალიზმი სახეზეა. ეს ბრევიკი ჯანდაბა და ავადმყოფობა კი არის, მაგრამ რატომ გახდა ის ავადმყოფი? რაღაც ბაცილები არსებობს და ამას ხედავ. ლონდონშიც რომ ჩავედით, იქაც მოხდა, ხალხი დახოცა ვიღაცამ ქუჩაში, მერე მისი ლიკვიდაც იქვე მოხდა. ამ მხრივ არეულობაა“ (ნეტგაზეთი, 28 მარტი, 2014).

### დასავლეთის დაკავშირება ნაციონალურ მოძრაობასთან

- **დავით საგანელიძე:** „სამწუხაროდ, ძალიან ბევრია ევროპაშიც და ამერიკაშიც სააკაშვილისნაირი გახრწნილი გონების პოლიტიკოსი, რომლებიც თავს უფლება აძლევენ და დღევანდელ ხელისუფლებას აკრიტიკებენ მხოლოდ იმიტომ, რომ სწორი გზით მიდის“ („ასავალ-დასავალი“, 29 დეკემბერი – 11 იანვარი, 2015).

## 5.3. ხელისუფლების მოქმედი და ყოფილი ნაწილობრივი

ხელისუფლების წარმომადგენლებიდან ანტიდასავლურ განცხადებებს ჰომობიურ კონტექსტში (3) ძირითადად აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი, დიმა ჯაიანი აკეთებდა, რომელიც დანიშვნამდე ბურჯანაძე – გაერთიანებულ დემოკრატებთან დაკავშირებული „სახალხო კრების“ წევრი იყო. მასვე ეკუთვნის განცხადება ევროპის კორუმპირებულობის შესახებ (1). აფხაზეთის მთავრობის მრჩეველთა ბიუროს ხელმძღვანელი კი რუსეთს, როგორც ამერიკის საპირწონეს (1) განიხილავდა.

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **დიმა ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი:** „ბოდიში და, პედერასტობა არ არის ევროპა! და თუ ევროპა პედერასტობაა, მაშინ მე არ მინდა ასეთი ევროპა!“ („ასავალ-დასავალი“, 18–24 აგვისტო, 2014).

### კორუმპირებული ევროპა

- **დიმა ჯაიანი, აფხაზეთის მთავრობის განათლებისა და კულტურის მინისტრი:** „მთელი ევროპა, ყველაზე ვერ ვიტყვი, მაინც ჩართულია კორუმფციაში. ასე, რომ ჩემი აზრით, ყველაფერი ფულზეა ნაყიდი და საბერძნეთის სასამართლომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო“ („რეზონანსი“, 17 ოქტომბერი, 2014).

### რუსეთი vs. ამერიკა

- **ლონდერ ცაავა, აფხაზეთის მთავრობის მრჩეველთა ბიუროს ხელმძღვანელი:** „რევანშიზმის არსი ხომ ძალაუფლების დაბრუნებაა, რათა შემდგომ დაიკმყოფილო ცხოველური ინსტინქტები ადამიანების გვამებზე სიარულით, თუმცა რევანშიზმისთვის პირობებია საჭირო. ამ საქმეში „ნაცები“ მხოლოდ ოკეანისგაღმედი მამების იმედად ვერ იქნებიან, მთავარი ხალხია... ერთადერთი კერპის იმედად ყოფნას, იქნებ სჯობს, შემოვიყვანოთ სხვა წონადი მოთამაშეებიც, რუსეთს ვგულისხმობ, და არ ვიყოთ მუდმივ შიშში, – ძია სემი არ განრისხდესო“ (Geworld.ge, 11 დეკემბერი, 2014).

## ყოფილი საჯარო მოხელეები

აღნიშნულ კატეგორიებში გაერთიანებული რესპონდენტები ყურადღებას ამახვილებდნენ რუსეთის პრიმატზე და ეს დიქტომია, როგორც ე.წ. მართლმადიდებლობის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე საგარეო და საშინაო პოლიტიკის საკითხებს უკავშირდებოდა.

ხელისუფლების ყოფილი თანამდებობის პირების მხრიდან გამოხატული 43 გზავნილიდან უმეტესობა ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდის (1995–2003) პოლიტიკური თანამდებობის პირებს და სხვა მოხელეებს უკავშირდებოდა, რომელთაგან ყველაზე მეტად ძალოვანი უწყებების (უშიშროების, თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროები) წარმომადგენლები და ყოფილი სახალხო დამცველი აქტიურობდნენ.

ცალკეული მაგალითები:

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:** „ესაა ლიბერალიზმი... მათ არ აქვთ ეთნიკური საფუძველი და იდეა, მაგრამ სახელმწიფოს სჭირდება იდეა. აქედან გამომდინარე, ამერიკა ეძებს იდეებს და, სამწუხაროდ, მიადგა ამ იდეას, რომელსაც ჰქვია ჰომოფილია ჰომოფობიის საწინააღმდეგოდ. ეს გულისხმობს იმას, რომ უზნეო ადამიანები საზოგადოებას უკვე თავს ახვევენ საკუთარი ცხოვრების წესს“ (Geworld.ge, 6 მარტი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

- **ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:** „დასავლური მართლმადიდებლობა არის სრული ნონ-სენსი, კონჩიტა, ანუ წვერებიანი ქალი...“ („კვირის ქრონიკა“, 2–8 ივნისი, 2014).
- **თემურ მირიანაშვილი, ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მრჩეველი:** „საქართველოს გადაარჩენს მართლმადიდებლურ რუსეთთან ურთიერთობა... ამიტომ არის, რომ ამერიკის მსტოვრები, საქართველოში არსებული მეხუთე კოლონა, გააფრთხილებს იბრძვიან დღეს რუსეთის წინააღმდეგ. ეს არასამთავრობოები, აბსოლიტურად ყველანი ხომ დასავლეთიდან იღებენ ფულს? მათ ხომ სამშობლო არ აინტერესებთ?“ („ასავალ-დასავალი“, 8–14 დეკემბერი, 2015).

### დასავლეთი – გადატრიალებების/ძალადობის ინსპირატორი

- **კახა თარგამაძე, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი:** „დღეს დასავლეთის სპეცსამსახურები ყოველნაირად ცდილობენ, საქართველო ჩათრიონ რუსეთთან გრძელვადიან ომში, რათ მოხდეს საქართველოს უკრაინიზაცია“ („ასავალ-დასავალი“, 13–19 ოქტომბერი, 2014).
- **თემურ ხაჩიშვილი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი:** „სწორედ ამერიკელებმა დააფინანსეს 2008 წლის აგვისტოს ომი... სამწუხაროდ, ჩვენ მაშინ ვერ გავუგეთ ზვიადს, როდესაც პირველმა შეამჩნია დასავლური იმპერიალიზმის ბოროტი სახე“ („ასავალ-დასავალი“, 13–19 ოქტომბერი, 2014).

### საქართველო გარე ძალების მიერ იმართება

- **ნანა დევდარიანი, ყოფილი სახალხო დამცველი:** „საქართველოს პოლიტიკური ელიტისა და ქართველი ხალხის ინტერესები დიამეტრალურად განსხვავდება ერთმანეთისგან! ისინი დასავლეთს ემორჩილებიან უსიტყვოდ, ქართველ ხალხს კი ამ დასავლეთს ისევ რუსეთი ურჩევნია!“ („ასავალ-დასავალი“, 15-21 სექტემბერი, 2014).

### ევრაზიული კავშირი vs. ევროატლანტიკური ინტეგრაცია

- **თემურ ხაჩიშვილი, ყოფილი შსს-ს მინისტრი:** „ჩვენ უნდა შევიდეთ ევრაზიულ კავშირში, რაც იმას ნიშნავს, რომ ქართველი გლეხები და მეწარმეები ყოველგვარი ბაჟის და დღგ-ს გარეშე გაიტანენ თავიანთ პროდუქციას რუსულ ბაზარზე... აი, აღმშენებლობის და აღორძინების რეალური გზა, რომელსაც მაქსიმალურად გვიხშობს ნატო და ევროკავშირი, საქართველოში თავისი რეზიდენტების – ნაცების და მათ ორბიტაზე მყოფი ძალების საშუალებით!“ („ასავალ-დასავალი“, 15-21 დეკემბერი, 2014).

### საერთაშორისო ორგანიზაციები = სპეცსამსახურებს

- **ვალერი ხაბურძანია, უშიშროების ყოფილი მინისტრი:** „მე ისეთ ორგანიზაციებს, როგორებიცაა „აირაი“, „ენდი-აი“, „იუსაიდი“ და სხვები სპეცსამსახურებად ვთვლი... ამ არასამთავრობო სტრუქტურებს დავალებული აქვთ, მოიპოვონ ინფორმაცია თავიანთი ქვეყნისთვის, გაანალიზონ ეს ინფორმაცია, გადაიბირონ ხალხი და ასე შემდეგ“ („ალია“, 25 სექტემბერი, 2014).

## 5.4. სასულიერო პირები

სასულიერო პირების მხრიდან ვხვდებით, როგორც ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების, ასევე პოლიტიკური თემატიკის ანტიდასავლურ შეფასებებსაც. დომინანტი მოსაზრება იყო ჰომოსექსუალობა, როგორც დასავლეთის მიერ თავსმოხვეული მოვლენა (20), რაც პარლამენტში ანტიდისკრიმინაციული კანონის განხილვას უკავშირდებოდა და მხოლოდ ლგბტ პირების უფლებების დაცვასთან იყო გაიგივებული, რაც ასოცირების ხელშეკრულების შემადგენლად იყო განხილული. დასავლეთი, როგორც მართლმადიდებლობასთან (8), ოჯახურ ტრადიციებთან (5) მებრძოლი იყო წარმოჩენილი, რომელსაც ჩვენთვის მიუღებელი ღირებულებები აქვს (3). საქართველოს საქმეებში გარე ძალების ჩარევა (5), ევროპასთან ასოცირების ხელშეკრულება, როგორც პრობლემების სათავე (5), ჯორჯ სოროსი, როგორც ქართულ იდენტობასთან მებრძოლი (2), უკრაინის მოვლენები, როგორც დასავლეთის ორკესტრირებული (1) და რეგიონული ენების ქართია, როგორც საფრთხე (1), ასევე სხვადასხვა თემები (2) იყო მოწოდებული.

### დასავლეთი თავს გვახვევს ჰომოსექსუალობას

- **თეოდორ გიგნაძე, დეკანოზი:** „თუ უფალი არ დაგვიფარავს, ქართველი კაცის გადაგვარება ისევე შეიძლება, როგორც ფრანგის და ინგლისელის, რომლებიც უკვე გადაგვარებულები არიან!“ („ასავალ-დასავალი“, 12-18 მაისი, 2014).

- **სპირიდონ აბულაძე, მეუფე:** „რა ჰგონია მას, ვინც მოდის დღეს და ქართველი ხალხის მამათმავლობას, სოდომის ცოდვასა და გაპიდარასტებს უკეთებს აგიტაცია-პროპაგანდას, ის იმაზე უფრო უარესი მტერი არ არის ქვეყნისა, ვიდრე რუქნადინი და მთელი ოდა ვირემშაკებისა?.. მოდიან, აფინანსებენ საქართველოს, ეუბნებიან თუ არ გახდები მამათმავალი, თუ არ გახდები ბილწი და საძაგელი ცოდვით დაცემული, არ მოგცემ გრანტებსო. კიდევ ჩვენ ვართ მოძალადეები?“ („ალია“, 9-12 მაისი, 2014).
- **დავით ქვლივიძე, დეკანოზი:** „ჩვენ აჩქარებული, დაუფიქრებელი ნაბიჯებით ევროპისკენ კი არ წავალთ, დაშლისკენ წავალთ. ამ კანონით შეიძლება აფხაზები და ოსები საბოლოოდ დავკარგოთ“ (ნეტგაზეთი, 29 აპრილი, 2014).
- **გიორგი რაზმაძე, მღვდელი:** „ინგლისში 9 წლის ბავშვებს ნებას რთავენ სქესი აირჩიონ, ანუ თუ ბიჭია, როგორ უნდა გახდეს გოგო და პირიქით, სხვადასხვა საშუალებისა და წამლების დახმარებით... საქართველოშიც მსგავსი რაღაცეების გაკეთება უნდათ. ასე დაიწყო ინგლისში თავიდან, გარკვეული კანონმდებლობის მიღება და ბოლოს, ერთსქესიანთა ქორწინებაც დაიშვა“ („ასავალ-დასავალი“, 26 მაისი – 1 ივნისი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის მართლმადიდებლობას

- **იობი აქიაშვილი, მეუფე:** „რა თქმა უნდა, მათთვის (ევროკავშირისთვის) მისაღები არაა ბერ-მონაზვნობა! ჭეშმარიტებასთან ბრძოლა უფრო ადვილია ბერ-მონაზვნების გარეშე... შემთხვევითი არაა, რომ „ნატომ“ იუგოსლავია აღდგომის დღეს დაბომბა ჭურვებით, რომლებსაც ეწერა: „გილოცავთ აღდგომას!“ შემთხვევითი არც ისაა, რომ მართლმადიდებელი ქვეყნები ასე დააპირისპირეს... რუსეთი არასოდეს გვექცეოდა, როგორც ერთ-მორწმუნე ერს და უამრავი ზიანი მოგვაცენა, არც თავად იქცევა სამაგალითო მართლმადიდებელივით, მაგრამ ჩემი დაცემული მართლმადიდებლობა მირჩევნია წარმართსა და ურწმუნო ამერიკელს და სულით მკვდარ ევროპელს! („ასავალ-დასავალი“, 9-15 ივნისი, 2014).
- **ბასილი მკალავიშვილი, მღვდელი:** „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით რა ბრძოლა მიმდინარეობს მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. შეგახსენებთ, რომ იელოველთა სექტა შემოგზავნილი იქნა აგენტურული საქმიანობისთვის, რათა გზა განემზადებინა შემდეგი მტრებისთვის სწორედ სოროსისა და ბჟეზინსკის დაფინანსებით იქნა შემოგზავნილი 50-იანელები, ევანგელისტები, ხსნის არმიისა და სხვა ათასი რჯულის დაჯგუფებები...“ („ალია“, 25 ივნისი, 2014).
- **ელიზბარ დეკანოიძე, დიაკონი:** „კი, მართლმადიდებლობააო ისლამურ ფუნდამენტალიზმზე უფრო საშიში რელიგიააო და ამნაირ ევროპაში უნდა ამათ ჩვენი შეყვანა?“ („ალია“, 1 მაისი, 2014).

### დასავლეთი ებრძვის ოჯახურ ტრადიციებს

- **დავით ისაკაძე, დეკანოზი:** „დიდი ფულია გამოყოფილი, რაც ოჯახის ინსტიტუტის ნგრევას ხმარდება, რათა ბნელ ძალებს მსოფლიოს მართვა გაუადვილდეთ!“ („ასავალ-დასავალი“, 27 ოქტომბერი-2 ნოემბერი, 2014).
- **დავით ისაკაძე, დეკანოზი:** „რა თქმა უნდა, ოჯახი ქალისა და კაცის ერთობაა და ასეთი მოსაზრებით, როგორსაც ქალბატონი ლუნაჩევი [ევროპარლამენტარი] ახმოვანებს, მან ინცესტიც შეიძლება გაამართლოს და ჩვენ ასეთ ადამიანებს ვუსმინოთ?!“ (Geworld.ge, 16 აპრილი, 2014).



